

Дозволено цензурою. г. Тифлисъ, 6 февраля 1905 г.

1. ენის მეცნიერება და ევოლუციონური თეორია.

ჩვენ ცხოვრებაში დიდ მნიშვნელოვანი მომენტი დადგა, დიდი ხნის დუმილი, ყრუ, მალული საზოგადოებრივი მიმდინარეობა დღეს აშკარა ხდება. ქვეყანა ამოძრავდა და ახალ საზოგადოებრივ ცხოვრებისთვის ემზადება.

თუ აქამდის ხალხის წადილი მალული იყო და აშკარად თავს ვერ იჩენდა, მომავალ უფლებრივ წყობილებაში ამ გარემოებას ადგილი აღარ ექმნება. მაგრამ ეს სრულებით არ ნიშნავს, რომ მომავალ საზოგადოებრივ წყობილებაში ნამდვილი თანასწორობა დამყარდეს, მოისპოს ერთი ჯგუფისაგან მეორესი გაყვლეფა, ერთი ერისაგან მეორესი დაბეჩაეფა. პირიქით, მოსალოდნელი უფლებრივი წყობილება უფრო ცხად ყოფს, გამოაშკარავებს იმ საზოგადოებრივ უთანხმოებათ, რომელნიც დღეს ბევრისათვის კიდევ შეუგნებელია და ვაი მას, ვინც არ მოემზადება მომავალ ბრძოლისთვის, ვინც არ გაითვალისწინებს მომავალს და თავის პოზიციას არ გაარკვევს.

ჩვენ აქ გვსურს, რამდენად ღონე შეგვწევს, გამოვარკვიოთ ერთი კულტურული მოვლენის—სამშობლო ენის მნიშვნელობა. როგორ უნდა ვუყუ-

როთ სამშობლო ენას? რა მნიშვნელობა აქვს მას ერის კულტურულ ცხოვრებაში? რა ზომებია საჭირო მის დასაცველად და გასაძლიერებლად?—აი კითხვები, რომელიც უსათუოდ უნდა იყოს გამორკვეული და გათვალისწინებული ყველასგან *). ხოლო სანამ ამ კითხვებს გავარკვევდეთ, საჭიროა ვიცოდეთ, რა არის საზოგადოდ ენა და რა კავშირი აქვს მას ადამიანის სულიერ არსებობასთან. ამისათვის კი უნდა მივმართოთ ენის შენსწავლელ მეცნიერებას.

დღევანდელ შეხედულებას ენის შესახებ მეცნიერება არ დასდგომია უეცრად. ენის მეცნიერების ნამდვილ დასაწყისად უნდა ჩავთვალოთ ბოპპის შედარებითი გრამატიკა 1835 წელს გამოცემული. ეს არ ნიშნავს, რასაკვირველია, იმას, რომ წინეთ სწავლულებს არ უფიქრიათ ენის შესახებ, მხოლოდ ამ დღიდან ენის შესწავლა ასე თუ ისე ჩადგა მეცნიერულ კალაპოტში. ამ დღიდან ბევრი მეცნიერი მუშაობდა ენის შესწავლაზე, ბევრი გამოკვლევა დაიწერა და მახვილი მოსახრებანი გამოითქვა. მაგრამ ამ მეცნიერულ გამოკვლევათ აკლდა საერთო სისტემა. ყოველი მეცნიერი ცდილობდა თავისებურად აეხსნა ენის წარმოშობის და განვითარების პროცესი, მეფობდა სპეკულიატიური აზროვნება, საერთო პრინციპის უქონლობა. ერთი სისტემა მეორეს არღვევდა, მეორე—მესამეს. ამ გვარ მეტაფიზიკურ

*) ენის მნიშვნელობის შესახებ ჩვენ ლიტერატურაში მეტად მცირეა ნაწერი. რამდენიმე წერილმან წერილს გარდა ჩვენ ვიცით მხოლოდ ერთი წიგნი ჩვენი პედაგოგის ი. ს. გოგებაშვილისა „ბურჯი ეროვნებისა“.

მდგომარეობიდან ენის მეცნიერება გაზოიყვანა დარვინმა.

როგორც ვიცით, დარვინიზმი არის ორგანიზულ განვითარების მექანიურ მიზეზებით ახსნა. წინეთაც მეცნიერები ცდილან ცოცხალი ბუნებისათვის ამ ნაირივე ახსნა მიეცათ, მაგრამ მათ საწადელს ვერ მიაღწიეს, ვერც ერთმა ვერ სძლია მეტაფიზიკურ და თეოლოგიურ სისტემებს. ხოლო დარვინმა თავისი თეორია ისეთი სიმარტივით დაასაბუთა, თავის აზრებს ისეთი ლოლიკური სისტემა მისცა, იმდენი შეურყეველი ფაქტები მოიყვანა მათ დასამტკიცებლად, რომ ყოველი წინააღმდეგობა მის წინაშე ამაო შეიქმნა. პირველად მოწინააღმდეგებმა ცხარი ბრძოლა გამოუცხადეს მეცნიერების ახალ წარმომადგენელს, მაგრამ მალე ფრთები ჩამოყარეს და იძულებული შეიქმნენ ქედი მოეხარათ მის ძლიერების წინაშე. ამნაირად თანდათან განვითარების თეორია, ევოლუციონური თეორია, გამეფდა ბუნებისმეტყველებაში. ბუნებისმეტყველების მეთოდი იმდენად ძლიერი გამოდგა, რომ მეცნიერების ყოველი დარგისათვის შემდეგ სავალდებულო შეიქმნა. ამით გამეფდა საზოგადოთ მეცნიერებაში კვლევის ისტორიული მეთოდი. დღეს გვესმის—ზნეობის ევოლუცია, სარწმუნოების ევოლუცია, საზოგადოებრივ წყობილების ევოლუცია და სხვა.

ენის მეცნიერებამაც, რასაკვირველია, შეითვისა კვლევის იგივე მეთოდი. ამის შესახებ ერთი საუკეთესო წარმომადგენელი თანამედროვე ენათმეცნიერებისა შლეიხერი ამბობს: „რაც ლაიელმა გააკეთა

ჩვენი პლანეტის ისტორიისათვის, იგივე გააკეთა დარვინმა ადამიანის ისტორიისათვის. დარვინის თეორია შემთხვევითი მოვლენა როდია ან ახირებულ ჭკუის გამოგონება, — ის არის ჩვენი საუკუნის ნამდვილი შვილი. დარვინის მოძღვრება — აუცილებლობაა, მისი ახსნა ცხოველთა და მცენარეთა მოდგმათა წარმოშობისა თავის უმთავრეს ნაწილში მაინც სისწორით შეეფერება ენათა ორგანიზმებსაც“.

გავიხსენოდ აქ ორიოდ სიტყვით დარვინის თეორია. მეცნიერებმა თავიანთ გამოკვლევით აღმოაჩინეს, რომ დედამიწის გულში ბევრ ისეთ ცხოველთა და მცენარეთა ნაშთები მოიპოვება, რომელთა წარმომადგენელი დღეს აღარ არსებობენ. ამნაირად გამოდიოდა, რომ სხვადასხვა ეპოქაში არსებობდნენ სხვადასხვა ცხოველები და მცენარეები. ამ სხვადასხვაობის ასახსნელად გამოიგონეს უეცრივ შერყევის, კატაკლიზმების თეორია, რომელიც მეფობდა დარვინის დრომდის. ამ თეორიის თანახმად დედამიწას დრო გამოშვებით ეწვევოდა ისეთი უბედურება, გეოლოგიური ცვლილება, რომელიც ყველა მასზე მცხოვრებ არსებას ერთიანად დამარხავდა, დაღუპავდა და ამის შემდეგ ხელ-ახლა აღორძინდებოდა ახალი ცხოვრება. რა საკვირველია, ასეთ თეორიას მეცნიერებაში ბატონობა შეეძლო მხოლოდ იმიტომ, რომ სიცოცხლის შესახებ ი ფაქტები ნაკლებად იყო შესწავლილი, საზოგადოდ ფაქტების სიღარიბე იყო და რაც იყო ცნობილი ფაქტები, იმათაც აკლდათ სისტემა და შემუშავება. ვასულ საუკუნეს დასაწყისში ფრანგმა მეცნიერმა

ლამარკმა გენიოსის ძლიერებით გამოილაშქრა ამ თეორიის წინააღმდეგ და წამოაყენა თავისი ცოცხალ არსებათა გარდაქმნის, ტრანსფორმიზმის თეორია.— ამ თეორიას თავიდანვე გამოუჩნდნენ ნიკიერი დამცველნი და მიმხევრები, მაგრამ იგი მაინც ვერ დამკვიდრდა მეცნიერებაში. ლამარკი ამბობდა: ორგანიზმები თანდათან ვითარდებიანო, მაგრამ საკმარისად ვერ დაასაბუთა, თუ როგორ ხდებოდა ეს განვითარება. ეს უკანასკნელი საკითხი ობიექტიურად და ფაქტების შესანიშნავის შემუშავებით ახსნა დარვინმა.

ძირითადი სტიმული, ძირითადი წამქეზებელი მიზეზი, რომელიც მეფობს მთელ ცოცხალ ბუნებაში, არის სიცოცხლის დაცვის მისწრაფება, ხოლო ეს მისწრაფება ორ გვარ მოვლენაში გამოიხატება: პირველი— თავის საკუთარ სიცოცხლის დაცვა, მეორე— შთამომავლობის დატოვება ან, სხვა სიტყვით რომ ვთქვათ, საზრდოობა და გამრავლება, — აი სიცოცხლის ძირითადი პრინციპი. ეს გარემოება ბადებს ბრძოლას არსებობისათვის. ცოცხალი არსება ებრძვის ბუნების ძალებს, ცდილობს მათ შეეგუებას, რომ არ დაიღუპოს ბრძოლაში. ამავე დროს ბრძოლა გამართულია თვით ცოცხალ არსებათა შორისაც. ერთნაირ საკვების მესაჭიროვე არსებები ერთმანეთს სასაზრდოვო მასალას უმცირებენ და ამის გამო მათ შორის იბადება მეტოქეობა. ამ მეტოქეობაში ერთი იღუპება, მეორე რჩება, — რჩება ის, რომელიც უკეთესად შეეთვისა გარეშე პირობებს. ყოველი ცოცხალი არსება გარეშე პირობებ-

თან შეთვისებაში თანდათან იცვლება და ცდილობს ეს ცვლილება გადასცეს თავის შთამოებასაც. ამნაირად მემკვიდრეობა და ცვალებადობა—აი ორი კანონი, რომელიც განაგებს ცოცხალ ბუნების განვითარებას. პირველი შეხედვით, ამ ორ კანონს შორის თითქო წინააღმდეგობაა, — ცოცხალი არსება ცდილობს თავისი თვისებანი გადასცეს შთამოებას, ხოლო უკანასკნელი შეგუების მიდრეკილებით ცდილობს შესაფერად შეიცვალოს. ფაქტიური განვითარება წარმოადგენს ამ ორ ძალთა შუახაზს, შეფარდებულ მოქმედებას. ორგანიული ბუნება წარმოადგენს დიდი ხნის თანდათან განვითარების შედეგს. ორგანიული ბუნების დასაბამი არის უსადესი ორგანიული სხეული, მოკლებული განსაზღვრულ მოყვანილობას და რაიმე გამაგრებულ ნაწილს. ამ სადაცხოველურ ფორმისაგან წარმოსდგა სულ ყველა ფორმები. ორგანიზმები შეგუების ძალით თანდათან რთულდებოდნენ და უფრო მაღალ ორგანიზაციას იძენდნენ. ამ ნაირად გამოირკვა, რომ ორგანიულ არსებათა განვითარება ექვემდებარება ბუნებრივ კანონებს, რომ მათ არსებობაში არავითარ ბუნების გარეშე მყოფ ძალას არ აქვს ხელი. ამით ცოცხალი და უსიცოცხლო ბუნება გაერთიანდა— ორივეში მეცნიერებამ ერთი და იგივე ბუნებრივ კანონის მოქმედება აღიარა. შემუშავდა თეორია, რომელიც ბუნებას, როგორც ცოცხალს, ისე უსიცოცხლოს, ერთის პრინციპით ხსნის, ერთის გზით იკვლევს, და ამიტომ ეს თეორია მონისტიურია. ამ თეორიის დამკვიდრებამ მეცნიერება-

ში ისიც გამოარკვია, თუ რა ადგილი ეკუთვნის ადამიანს ბუნებაში. ცხოველთა სამეფოში პირველი ადგილი ხერხემლიანთ ეკუთვნის, ხოლო ხერხემლიანთა შორის ძუძუმწოვართ, ესე იგი იმ ცხოველებს, რომელნიც თავიანთ შვილებს რძით ზრდიან. სწორეთ ამ ცხოველთა შორის უნდა მოვათავსოთ ადამიანიც. უკვე ლინეიმ 1735 წ. თავის ძირითად შრომაში „Systema naturae“ დააყენა ადამიანი ხერხემლიანთა სათავეში და მაიმუნებსა და ნახევარ მაიმუნებთან ერთად ერთ რიგში მოათავსა და ამრიგს დაარქვა, „Anthropomorpha“, ანუ ადამიანთ მაგვარნი; შემდეგ მათ უწოდა უწარჩინებულესი ცხოველები—Primates პრიმატთა რიგში სამი შტოა: 1) ნახევარ მაიმუნები (Risimiae), 2) მაიმუნები (Simia) და 3) ადამიანები (Anthropoi). მეცნიერებამ შემდეგში სრულიად გაამართლა ლინეის კლასიფიკაცია ადამიანის შესახებ და იმ საბოლოო დასკვნას დაადგა, რომ ის ნიშნები, რომელნიც სხეულის აგებულებაში განარჩევენ ძუძუ-მწოვართ დანარჩენ ხერხემლიანებისგან, ადამიანებშიაც მოიპოვებიან. ამნაირად შეიქმნა ცხადი, რომ ადამიანი იმავე პრინციპზეა აგებული, როგორც დანარჩენი ძუძუ-მწოვარნი. კვება, გამრავლება და სხვა ფიზიოლოგიური მოქმედებანი ადამიანის სხეულში იმავე წესით ხდება, როგორც დანარჩენ ძუძუ-მწოვრებში. ამ გზით ადამიანი უნდა მოექცეს ცხოველთა შორის.

ახლა ჩვენთვის მეტად საყურადღებოა ვიცოდეთ, არის დაცული თანდათანობა ფსიხიურ ცხოვრებაშიაც თუ არა? აქ მივმართოთ ვუნდტს. ის

გვეუბნება: „ცხოველთა დაბალ კლასებში, პოლი-
პებსა და ინფუზორიებში, ვამჩნევთ სიცოცხლის იმ-
ნაირ გამომჟღავნებას, რომელიც მოწმობს, რომ ამ
ცხოველებსაც აქვთ შეგნება. შეგნების პირველი სა-
ფეხურია გარჩევა საკუთარ მესი გარეშე ბუნებისაგან.
ხსენებული ცხოველები მათთვის გამოსადეგ საზრ-
დოს იჭერენ, ამოირჩევენ ამ საზრდოს ურიცხვ სხვა
საგნებისაგან, რომელნიც მათ შეხედებიან, ხშირად
კიდევ საკვებ მასალაში ერთს მეორეს ამჯობინებენ.
ამნაირად ეს ცხოველები არჩევენ საზრდოს, ხოლო
ასეთი არჩევანი გულისხმობს სხეულთა გარჩევას და
იმის ცნობას, რითაც წინეთ იკვებებოდნენ ეს ცხო-
ველები... უხერხემლოთა რაზმში პირველი ადგილი
უნდა დავუთმოთ ფუტკარს, ქიანქველას და ტერ-
მიტს. ფუტკრები არჩევენ არა მარტო თავიანთ მა-
გვართა შორის ინდივიდუუმებს, არამედ ერთ ადა-
მიანს მეორესაგან; ისინი ადვილად გამოიცნობენ
ხოლმე თავის სკის ფუტკარს სხვებისაგან. განსა-
ცდელისაგან თავის დასაფარავად ისინი ისეთ ზო-
მებს მიმართვენ, რომელნიც ცხადყოფენ მათში
ფიქრსა და მიხვედრას. სკაში თუ შეგლინდა ლო-
ქორია, სანთლით გაფისვენ და ამით უვნებელ ჰყო-
ფენ. მოხდება ხოლმე, რომ ფუტკრის უფრო ძლიე-
რი ოჯახი გამოაძევეს სკიდან სუსტ ოჯახს და მის
ადგილას დასახლდება. ასეთი ბრძოლა უფრო ხში-
რია ქიანქველებსა და ტერმიტებში. ამათ გარკვეუ-
ლი ტაქტიკაც კი აქვთ; დაყენებული ჰყავთ ყარაუ-
ლები, რომელნიც აცნობებენ მტრის მოახლოვებას.
იბრძვის ოჯახის ერთი ნაწილი, დანარჩენები კი ამავე

დროს განაგებენ სახელმწიფოს საოჯახო საქმეებს. ომის დროს არამც თუ ხოცავენ მოპირდაპირეებს, ბევრი ტყვედ მიყავთ და მონებათ აქცევენ. ბინის აგებასა და გამოცვლაშიაც ისინი დიდ დაფიქრებას იჩენენ. ჩვენი ქიანქველები ხშირად იცვლიან ბინას და ახალს იჩენენ; უმეტეს შემთხვევაში შეგვიძლია მიზეზიც ვუპოვოთ ასეთ მათ მოქმედებას. მიზეზია ან ნამეტანი სინესტე ან საშიშ მეზობლების სიახლოვე. ჯერ რამდენიმე ქიანქველა მიდის ახალ ბინის საძებრად და გამოსაკვლევად. მკვლევარნი ბრუნდებიან დანარჩენე ბის წასაყვანად, შემდეგ საერთო ძალით შეუდგებიან ბინის შენებას და რაკი ცოტაოდნად მოაწყობენ, მაშინვე ძველი ბინიდან გადმოზიდავენ ყველაფერს. შეგვიძლია მოვახერხოთ, რომ ქიანქველა ხეზე არ აცოცდეს; ამისთვის საჭიროა ცარციტ ხის ტანს შემოვაფლოთ წრე, მაგრამ ეს ზომა მხოლოდ რამდენიმე ხანს ივარგებს. რაკი ერთი ქიანქველა გაბედავს წრის გადასვლას, მაშინვე ყველანი მას მიჰყვებიან. მოგონების ძალა საკმაოდ ძლიერი უნდა ჰქონდეთ ქიანქველასა და ტერმიტებს. ქიანქველათა ოჯახის ერთი ნაწილი რამდენიმე თვით რომ მოაშორეთ დანარჩენებს, დაბრუნებისთანვე იცნობენ ერთმანეთს და ძმურათ მიეგებებიან, ხოლო გარეშეს კი ხელაღვე გააძევენ. ყველა ამ ფაქტების შემდეგ, რომელთაც შეგვიძლია ბევრი სხვა ფაქტებიც მიგვემატებია, უნდა აღვიაროთ, რომ ქიანქველებს, ტერმიტებს და ფუტკრებს შეუძლიათ ფიქრი, აქვთ

გვეუბნება: „ცხოველთა დაბალ კლასებში, პოლი-
პებსა და ინფუზორიებში, ვამჩნევთ სიცოცხლის იმ-
ნაირ გამომქლადენებას, რომელიც მოწმობს, რომ ამ
ცხოველებსაც აქვთ შეგნება. შეგნების პირველი სა-
ფეხურია გარჩევა საკუთარ მკეს გარეშე ბუნებისაგან.
ხსენებული ცხოველები მათთვის გამოსადეგ საზრ-
დოს იჭერენ, ამოირჩევენ ამ საზრდოს ურიცხვ სხვა
საგნებისაგან, რომელნიც მათ შეხვდებიან, ხშირად
კიდევ საკვებ მასალაში ერთს მეორეს ამჯობინებენ.
ამნაირად ეს ცხოველები არჩევენ საზრდოს, ხოლო
ასეთი არჩევანი გულისხმობს სხეულთა გარჩევას და
იმის ცნობას, რითაც წინეთ იკვებებოდენ ეს ცხო-
ველები... უხერხემლოთა რაზმში პირველი ადგილი
უნდა დავუთმოთ ფუტკარს, ჭიანჭველას და ტერ-
მიტს. ფუტკრები არჩევენ არა მარტო თავიანთ მა-
გვართა შორის ინდივიდუუმებს, არამედ ერთ ადა-
მიანს მეორესაგან; ისინი ადვილად გამოიცნობენ
ხოლმე თავის სკის ფუტკარს სხვებისაგან. განსა-
ცდელისაგან თავის დასაფარავად ისინი ისეთ ზო-
მებს მიმართვენ, რომელნიც ცხადყოფენ მათში
ფიქრსა და მიხვედრას. სკაში თუ შეგლინდა ლო-
ქორია, სანთლით გაფისვენ და ამით უვნებელ ჰყო-
ფენ. მოხდება ხოლმე, რომ ფუტკრის უფრო ძლიე-
რი ოჯახი გამოაძევეს სკიდან სუსტ ოჯახს და მის
ადგილას დასახლდება. ასეთი ბრძოლა უფრო ხში-
რია ჭიანჭველებსა და ტერმიტებში. ამათ გარკვეუ-
ლი ტაქტიკაც კი აქვთ; დაყენებული ჰყავთ ყარაუ-
ლები, რომელნიც აცნობებენ მტრის მოახლოვებას.
იბრძვის ოჯახის ერთი ნაწილი, დანარჩენები კი ამავე

დროს განაგებენ სახელმწიფოს საოჯახო საქმეებს. ომის დროს არამც თუ ხოცავენ მოპირდაპირეებს, ბევრი ტყვედ მიყავთ და მონებათ აქცევენ. ბინის აგებასა და გამოცვლაშიაც ისინი დიდ დაფიქრებას იჩენენ. ჩვენი ქიანქველები ხშირად იცვლიან ბინას და ახალს იჩენენ; უმეტეს შემთხვევაში შეგვიძლია მიზეზიც ვუპოვოთ ასეთ მათ მოქმედებას. მიზეზია ან ნამეტანი სინესტე ან საშიშ მეზობლების სიახლოვე. ჯერ რამდენიმე ქიანქველა მიდის ახალ ბინის საძებრად და გამოსაკვლევად. მკვლევარნი ბრუნდებიან დანარჩენე ბის წასაყვანად, შემდეგ საერთო ძალით შეუდგებიან ბინის შენებას და რაკი ცოტაოდნად მოაწყობენ, მაშინვე ძველი ბინიდან გადმოზიდავენ ყველაფერს. შეგვიძლია მოვახერხოთ, რომ ქიანქველა ხეზე არ აცოცდეს; ამისთვის საჭიროა ცარცით ხის ტანს შემოვავლოთ წრე, მაგრამ ეს ზომა მხოლოდ რამდენიმე ხანს ივარგებს. რაკი ერთი ქიანქველა გაბედავს წრის გადასვლას, მაშინვე ყველანი მას მიჰყვებიან. მოგონების ძალა საკმაოდ ძლიერი უნდა ჰქონდეთ ქიანქველასა და ტერმიტებს. ქიანქველათა ოჯახის ერთი ნაწილი რამდენიმე თვით რომ მოაშორეთ დანარჩენებს, დაბრუნებისთანვე იცნობენ ერთმანეთს და ძმურათ მიეგებებიან, ხოლო გარეშეს კი ხელაღვე გააძევენ. ყველა ამ ფაქტების შემდეგ, რომელთაც შეგვიძლია ბევრი სხვა ფაქტებიც მიგვემატებია, უნდა აღვიაროთ, რომ ქიანქველებს, ტერმიტებს და ფუტკრებს შეუძლიათ ფიქრი, აქვთ

განიერ მოქმედების ნიჭი, აზრების ურთი-ერთ გადასაცემი საშუალება. განსაკუთრებით მათ საზოგადოებრივ ცხოვრების მოვლენანი ცხადად გვიჩვენებენ, რომ ამ ცხოველებს აქვთ აზრთა გადასაცემი საშუალება, ხოლო ეს გარემოება დამახასიათებელია ფსიხიური განვითარების მაღალ საფეხურისა. მოვიყვანოთ რამდენიმე მაგალითი ხერხმელიანთა ცხოვრებიდანაც. ბევრ ფრინველს აქვს საოცარი მეხსიერება. ამ თვისებიდან მომდინარეობს ფრინველების მიმბაძობითი ნიჭი. სხვადასხვა ქვეყნის ყარყატები ხშირად ცხარედ ომობენ ერთმანეთში. ასეთ ომის დაწყებამდის ისინი თავს იყრიან მრავალ-რიცხვოვან კრებებზე, სადაც, ცხადია მათ შორის იმართება თაობირი. ბაიყუშები ბაღს რომ შეესვნიან ასაკლებად, უსათუოდ მაღალ ხეების კენწეროებზე ჩასაფრებული ყავთ დარაჯები, რომელნიც სწრაფად აცნობებენ მტრის მოახლოვებას. მღრნელთა შორის ჩვენ ყურადღებას იპყრობს თახვი. ის აგებს ხელოვნურ შენობებს. მართალია ამ შემთხვევაში იგი ხელმძღვანელობს ალლოთი, ინსტინქტით, მაგრამ ისიც მართალია, რომ ასეთ ხელოვნურ შენობების ასაგებად საჭიროა დიდი ჭკუა და გამჭკრიახობა. პირველად თახვი შენობისათვის გამოსადეგ ადგილს ირჩევს, შემდეგ ხის ტოტებისაგან და მიწისაგან აგებს შენობას, მდინარეში აკეთებს სათავანს, რომლის შემწეობით თავის სადგომში იატაკზე დასაგუბებლად გამოყავს წყალი. ასეთი საქმის შესასრულებლად არა მცირედი მექანიური და გიდროსტატიული ცოდნაა საჭირო. ასე, მაგალითად, სათავანს ძირში უფრო

ფართოს იჭერს, ვიდრე ზევით, ისეთ ხეებს ირჩევს, რომლის ჩასობა შეიძლება მიწაში. ძაღლის ჭკუა, მისი მიხვედრილობა და გულის ყური ყველასთვის იმდენათ ცნობილი არის. რომ ამაზე ლაპარაკი მეტი იქნება. ერთ პარიზელ მხატვარს უნდოდა პირდაღებულ სპილოს დახატვა. ამისათვის მის პირთან მუდამ ეჭირა ვაშლი, თითქო ესაა უნდა გადააყლაპვინოსო. სპილოს მოსწყინდა ასეთი მდგომარეობა, აიღო და ხორთუმით დაათქეშა სურათს წყალი და ამნაირად ნახტვრის შრომა გაანადგურა. საზოგადოდ სპილო მეტად გამჭირახია. მაიმუნს ისეთი საოცარი მიმბაძობითი ნიჭი აქვს, რომ გაუწვრთნელად შეუძლია ადამიანის მანერების და სხეულის მოძრაობის გადაღება. თუკი მის გაწვრთნას განსაკუთრებულ ყურადღებას მივაქცევთ, იმ შემთხვევაში მას ისეთ საქმეებს ვასწავლით, რომლის ასრულება არც ერთ ცხოველს არ შეუძლია. ბიუფონს ჰყავდა შიშპანზე კამერდინერად. ეს ახირებული მაიმუნი, როცა ვინმე დარეკავდა, გააღებდა კარებს, სალამს მისცემდა მოსულს, შეუძღვებოდა ოთახში და დასეირნობდა სტუმართან წინ და უკან, სანამ ბიუფონი არ მოვიდოდა. მაიმუნს, შეიძლება, ყოველი საქმე და ხელოვნება ვასწავლოთ, რაცკი ადამიანს გამოუგონია. მაიმუნის ასეთი ნიჭის დიდი ნაწილი ბრმა მიმბაძობასაც რომ მივაწეროთ, ბევრი მაინც რჩება ისეთი რამე, რომელიც გვაიძულებს ვიცნათ, როგორც გონიერებასა და მოსაზრებაზე დაფუძნებული მოქმედება. განსაკუთრებით ორანგ-უტანგი ბევრ საგანს თავისი საკუთარი მიხვედრით სინ-

ჯავს. ერთ ორანგს მისცეს ტანისამოსი. მაიმუნმა მანამდის გააგრძელა ცდა, სანამ კარგათ არ ჩაიცვა ტანზე. ტანისამოსის რომელიმე ნაწილის გახდას თუ ვერ მოახერხებდა, საშველად თავის პატრონს დაუძახებდა. მეორე ორანგს ავადმყოფობის დროს სისხლი გაუღეს. შემდეგ, როცა ხელმეორედ ავად გახდა, მიდიოდა ადამიანებთან და ერთ თავის ძარღვზე უჩვენებდა, აშკარაა, მის გონებაში მორჩენის წარმოდგენა სისხლის გაღების წარმოდგენას შეუკავშირდა.

ჩვენ გადავავლეთ თვალი ცხოველთა სამეფოს ფსიხიურ მოვლენებს. ამ თვალის გადავლებამ ჩვენ დაგვარწმუნა, რომ ცხოველებს იმგვარივე შეგნების უნარი აქვთ, როგორც ადამიანს. განსხვავება გამოიხატება მხოლოდ განვითარების ხარისხში. ადამიანსა და ცხოველებს შორის იმაზე მეტი განსხვავება არ არის, ვიდრე სხვადასხვა ცხოველთა შორის. ყველა სულიერი არსებანი წარმოდგენენ ერთ განუწყვეტელ ჯაჭვს. დასკვნის გამოყვანა და მსჯელობა—ეს ორი ძირითადი ფსიხიური მოქმედებაა. ჩვენ გამოვარკვიეთ, რომ სულიერ ცხოვრების ყოველ საფეხურზე არსებობს დასკვნის გამოყვანა და მსჯელობა, როგორც ფსიხიურ მოვლენათა წარმომშობი ფაქტორები. ისინი ავსებენ მთელი ცხოველთა კიბის შინაგან სიცოცხლეს ერთ უჯრიან ინფუზორიიდან და განსაზღვრულ მოყვანილობას მოკლებულ პოლიპიდან დაწყებული ადამიანამდე, რომელიც უმაღლესი ნიჭიერების მქონეა. ყოველი ფსიხიური განსხვავება არა ღირსებითია, არამედ ხარისხებითი. ის პე-

პელა, რომელიც ფერთან სუნით გამოიწობს თაფლიან ყვავილს, იმგვარადვე მსჯელობს, როგორც მეცნიერი, რომელსაც ცნობილ ფაქტებიდან გამოყავს ზოგადი კანონი. ხოლო უკანასკნელ შემთხვევაში დასკვნები უფრო მრავალრაცხვოვანი და რთულია, — ამიტომ შედეგიც უფრო ფართო და უნაკლოა, ვიდრე პირველ შემთხვევაში. ზემომოყვანილ ფაქტებიდან ჩვენ ისიც დავინახეთ, რომ გონებრივი განვითარება თან მოსდევს ფიზიკურ ორგანიზაციის გაუმჯობესებას. ცხოველთა კლასში უფრო გაუმჯობესებულ ორგანიზაციის ცხოველები გონებრივადაც უფრო მაღლა დგანან, ხოლო ის კლასი, რომელიც თავისი აგებულებით ყველა ცხოველებზე მაღლა დგას, თავის გონებრივი განვითარებითაც პირველობს.

ყველა ნათქვამიდან შეგვიძლია შემდეგი დასკვნა გამოვიყვანოთ. ცხოველთა მთელი სამეფო რომ წარმოვიდგინოთ, როგორც ხე, პრიმატები შეედრებიან ზემო ტოტებს, ხოლო ადამიანი ხის კენწეროს. საიდან წარმოსდგა ადამიანის ასეთი უპირატესობა? სად ვეძებოთ მისი წარჩინების საფუძველი? უწინარეს ყოვლისა ამ უპირატესობის წყარო არის ადამიანის აგებულობა. სხეულის ნაწილები ცხოველს უმეტესად იმისთვის უნდა, რომ შეძლებას აძლევს იმოძრაოს სარჩოს საძებნელად. დაბალი ცხოველები მოძრაობენ სხვა-და-სხვა გზით, ხელლო ხერხემლიანები კი ორი სამოძრაო ორგანოებით. სხვადასხვა ცხოველებს სამოძრაო ორგანოები მოძრაობის თავისებურობის მიხედვით სხვადა-

სხვა ნაირად აქვთ მოწყობილი; მაგ., ღამურას და ფრინველებს სამოძრავეო წინა ორგანოები მოწყობილი აქვთ საფრენად, ვეშაპს—საცურავეად. იმასვე ვხედავთ ოთხფეხთა და ანტროპოიდებს შორის. მართალია, გიბონს შეუძლია ამდგარი სიარული, მაგრამ იგი ამ დროს ფორხილობს და მისი სიარული სიმკვიდრეს მოკლებულია. იგი შეჩვეულია ხეზე ბობლიაღს და ამ შემთხვევაში გძელი ხელები შევლის ხიდან ხეზე გადახტომის დროს. სხვა ჯიშის მაიმუნებს წამოდგომა მხოლოდ სანახევროდ შეუძლიათ. მართო ადამიანს შეუძლია თავისუფლად და მკვიდრად დადგეს პირდაპირ და ამიტომაც მისი წინა სამოძრაო ორგანოები სრულიად თავისუფალნი არიან, იმათი შემწეობით ადამიანს შეუძლია რამე აიღოს ხელში, გაისროლოს, დაიჭიროს. თითების აგებულების იმნაირად მოწყობა, რომ ოთხი თითი შეგვიძლია დავუპირდაპიროთ ცერს, შეძლებას გვაძლევს სხვადასხვა საგნები ავიღოთ, გავსინჯოთ და შევისწავლოთ შეხებით. ხელი ჩვენი სხეულის საუკეთესოდ განვითარებული ნაწილია და უიმისოდ ადამიანის ბატონობა დედამიწაზე წარმოუდგენელი იქნებოდა. ხელის მნიშვნელობა უფრო მკაფიოდ გამოგვეხატება, თუ გავიხსენებთ, რომ ზოგიერთ ცხოველის ასაღები იარაღი,—სპილო, მაიმუნის, ბაიყუშის, ნებას აძლევს მათ საგნები აიღონ, მაგრამ თუ ამ იარაღებს შევადარებთ ადამიანის ხელს, მაშინ ცხადი იქნება ჩვენთვის, იაუ რა უძლიერესი იარაღია ხელი ადამიანისთვის. ადამიანის პირდაპირ დადგომამ მის აგებულებაში გამოიწვია სხვადასხვა

ცვლილებანი: ფეხის ძვლების გასქელება, ფეხის ტერფის გასწორება, ხერხემლის ამართვა ცოტაოდენი მოკაკით და ამ ნაირად მაზე ქალას მდგომარეობის შეცვლა. ეს თვისებები შეადგენენ ადამიანის ორგანიზაციის თავისებურებას. მეცნიერთა გამოკვლევით ადამიანის წინაპრები ცხოვრობდნენ ხეზე. თანდათან სარჩოს ძებნაში ადამიანის წინაპარი დაეშვა მიწაზე და იქ დაიწყო არსებობა.

ცხოვრების ახალმა პირობებმა აიძულა თავისი არსებობა სხვანაირად მოეწყო. გარეშე პირობებთან მუქდმივნა ბრძოლამ შეაერთა მჭიდრო საზოგადოებად ადამიანი, რითაც მან მოიპოვა გამარჯვება ჯერ თავის მეტოქეებზე და მერე მთელ დედამიწაზე. საზოგადოებრივ ცხოვრების ინსტიქტი ადამიანს საერთო აქვს მაიმუნთან და ზოგიერთ სხვა ცხოველებთანაც. საზოგადოებრივ არსებობის საქროება გამოიწვია ბრძოლამ არსებობისათვის. ცალკე სუსტი და უძლური, ადამიანი საზოგადოებაში ანვითარებს თავის უმაღლეს ნიჭიერებას. სხვათა შორის საზოგადო ცხოვრება მოზარდი თაობისთვის ზრუნვითაც არის გამოწვეული. რამდენად მაღალ ორგანიზაციის არის რომელიმე ცხოველი, იმდენად დიდის ხნის მოვლას მოითხოვს მისი შვილი დაბადების შემდეგ, სანამ დამოწიფულდებოდეს. ორგანიზაციის თავისებურება და საზოგადოებრივი ცხოვრების ინსტიქტი — აი, ორი საფუძველია ადამიანის განვითარებისა. ამავე საფუძველებზეა დამკვიდრებული მისი განსაკუთრებული ნიჭი. აზრი და გარდაცემისა — ესა.

2. ბუნებრივი ენა.

რა არის ენა? ენა შინაგან, პსიხიურ მდგომარეობის გარეგანი, ნიშნებითი გამოხატვაა. ადამიანებს სხვადასხვანაირად შეუძლიათ ერთმანეთისათვის თავიანთ აზრის გადაცემა: მოძრაობით, ყვირილით, სიტყვების წარმოთქმით, ანუ ლაპარაკით. ყველა ეს ჩამოთვლილი სშუალეობა არის ენა. თუ ადამიანის ფსიხიური ცხოვრება ერთგვარია, როგორც თავისი ელემენტებით, ისე მათი ურთიერთი დამოკიდებულებით საერთო ფსიხიურ ცხოვრებასთან, ცხადია ამ ფსიხიური ცხოვრების გამომჟღავნება—ენაც ამგვარივე ერთგვარობას უნდა წარმოადგენდეს. ვნახოთ, მართალია ეს თუ არა? სხვადასხვა ფსიხიური მდგომარეობა ცხოველში უსათუოდ იწვევს რეაქციას. დაუკვირდით შინაურ ფრინველს, როგორ სხვანაირად ასწევს თავს, როცა ქორი მოელანდება. დაუკვირდით ძაღლს, რა სხვადასხვანაირად გამოხატავს იგი თავის სულიერ მდგომარეობას. როცა გაჯავრებულია და მტერზე მიიწევს, კბილებს კრეკს, ბალანი ებუძგება, კუდს აპრებს. სულ შეიცვლება, როცა მოფერება უნდა: სახე უღიმის, კუდს აქიციანებს და იწლაწნება. შიშში კუდს ამოიძუებს და მოიკაკვება. ესაა რეფლექსი. ამგვარივე რეფლექსს იწვევს ფსიხიური მდგომარეობა ხმის გამომცემ ორგანოშიაც. ცხოველი უეცრივ წააწყდა მტერს. თავსაც რომ ავნოს, მაინც თავს ვერ იმაგრებს და ხმას გამოსცემს. გინდ, ვსთქვათ, ცხოველმა იპოვა საკმელი. იგი უნებლიეთ გამოსთქვამს ხმით თავის

სიამოვნებას. ერთის სიტყვით ფსიხიური ვითარება უსათუოდ გამოიხატება სხეულის მოძრაობით თუ ხმის გამოცემით. თავის თავად ეს მოძრაობა და ხმის გამოცემა ჯერ კიდევ ენას არ წარმოადგენს. მაგრამ აქ ხდება მოვლენათა ასოციაცია. რაკი ერთი და იგივე სხეულის მოძრაობა, ერთი და იგივე ხმა ყოველთვის მოსდევს ერთნაირ გარეშე გარემოებას, ამიტომ ცხოველის გონებაში ეს გარემოება და სხეულის მოძრაობა, გინდ ხმა ერთმანეთს ებმება, ხდება ფსიხიური ასოციაცია. ამ მომენტიდან სხეულის მოძრაობას და ხმას ენის მნიშვნელობა ეძლევა. დაუკვირდით შინაურ ფრინველებს. აი, მამალმა დაიყურყულა გამაფრთხილებელის ხმით—იცოდეთ მტერი გვიახლოვდებაო. ეს ხმა ესმით არა მარტო კათმებს, სხვა ფრინველებსაც და სულ ყველანი შესაფერ ზომებს მიმართავენ. მაშ მამალმა ყველა თავის მეზობლებს გადასცა აზრი—მან ამოიღო ენა. ტყეში ხშირად წააწყდებით ასეთ მოვლენას. ძელა ან ტურა სადმე მიძვრება, შეუნიშნავთ ის შაშვებს და გაცხარებით თავს დაჰკუთავენ. სხვა ცხოველებსაც ესმის ამ კუთვილის აზრი. ფიზიოლოგიურად რომ გამოვსთქვათ, ცხოველთა ენის უპირველესი და უზოგადესი ელემენტი არის გრძნობიერების მიერ გამოწვეული სხეულის მოძრაობა და ხმა.

ხმას ეძლევა განსაკუთრებული მნიშვნელობა სქესებრივ დაახლოვებისათვის, აქ ცხოველი უფრო ინსტიქტით მოქმედებს. ვის არ უნახავს გაზაფხულზე როკის წვერზე წამომჯდარი მამალი შაშვი, რომელიც გასძახის არე-მარეს და იწვევს დედალს. ამ

ნაირად ხმა დიდ როლს თამაშობს სქესების დაახლოებაში. ამ მოსაზრების სიმართლეს გვიმტკიცებს ხმის ცვლა სქესებრივ დამწიფებასთან ერთად. მამალი ყივილს იწყებს მაშინ, როცა სქესებრივად დამწიფებულდება, ფრინველები საზოგადოდ ამ ხანაში იწყებენ გალობას. ამნაირად ჩვენ დავინახეთ, რომ რეფლექტიურ ხმას ეძლევა ჩვენეზითი მნიშვნელობა—ის ხდება ორგანიზმთა ურთიერთ გაგების საშუალებად—ენად. გარდა ამისა აქ უნდა დავუმატოთ მიმბაძაობითი ხმები. ზოგიერთ ცხოველებს შეუძლიათ სხვა ცხოველების ხმები გაიმეორონ. ვინ არ იცის კაკაკის და თუთიყუშის ნიჭი ხმების მიმბაძაობაში? აქ ჩვენ დავასახელებთ ცხოველთა ენის ყველა ელემენტები: სხეულის მოძრაობა, ემოციონური ხმა და მიმბაძაობითი ხმა. აი, სამი საშუალება, რომელნიც საერთო აქვს ადამიანს სხვა ცხოველებთან. ამ ენას მეცნიერები უწოდებენ ბუნებრივ ენას. მაშ ცხოველებს ადამიანთან ერთად აქვთ ენის ელემენტარული ნასახი, მაგრამ ამ ნასახს ისინი ვეღარ ანვითარებენ. ადამიანი კი უფრო მაღალ საფეხურზე ავიდა, იმან შექმნა ხმა-დაყოფილი ენა. თქვენ იკითხავთ: როგორ მოხდა, რომ ადამიანი ასე ზევით აიწიაო? ამის მიზეზი უნდა ვეძიოთ ორ გარემოებაში: პირველია—ფიზიკური, მეორე—სოციალური.

3. ხ მ ა - დ ა ე რ ფ ი ლ ი ე ნ ა .

ზემოდ ჩვენ აღვნიშნეთ, თუ რა დიდი მნიშვნელობა ქონდა ადამიანისათვის უკანა ფეხებზე სია-

რუსს. ორ ფეხზე დადგომა იყო ადამიანისთვის ის დიდმნიშვნელოვანი მომენტი, რომლის შემდეგ მან შესძლო ყველა იმ თავისებურებების განვითარება, რომლებითაც ის სჭარბობს ცხოველებს. პირდაპირ დადგომამ ხელი შეუწყო სხვათა შორის სალაპარაკო აპარატის გაუმჯობესებას. შენიშნული გექნებათ, რომ როცა საქონელს ღრმად ბლავილი უნდა, უსათუოდ შეჩერდება. ხმის თავისუფალი გამოცემა საჭიროებს თავისუფალ სუნთქვას. უკანა ფეხზე დაყრდნობით ადამიანმა დიდი თავისუფლება მიანიჭა გულ-მკერდს და მასში მომწყვდეულს სასუნთქავ აპარატს. ამან გამოიწვია სუნთქვის თავისუფლება და ყანყრატოს გაუმჯობესება.

ენა იგულისხმებს ერთი ინდივიდისაგან მეორე ინდივიდის აზრის და სურვილის გაგებას. მაშ ენის არსებობა მოითხოვს ინდივიდთა კრებულს. აქედან ცხადია, რომ ენის განვითარებაც საზოგადოებრივ ცხოვრების განვითარებასთან მჭიდროდ შეკავშირებულია. რამდენად ესა თუ ის ცოცხალი არსება თავის მზგავსთა მჭიდრო საზოგადოებაში ცხოვრობს, იმდენად ენაც უფრო მაღლა დგას. იმ ცხოველებს, რომელნიც მარტო შეუღლებების დროს უახლოვდებიან ერთმანეთს და თავის მოზარდ თაობაზე არ ზრუნავენ, მხოლოდ მოწოდების ამლნიშვნელი ხმები აქვთ. როცა ცხოველი შთამომავლობას დიდი ხნობით უვლის და ზრდის, მაშინ მას საოჯახო ხმებიც უჩნდება. და თუ ცხოველი მუდმივ საზოგადოების წევრია, მაშინ მისი ენაც რთულია. მეცნიერები დანამდვილებით ამტკიცებენ, რომ ისეთ რთულ

საზოგადოების მქონეთ, როგორც არიან ქიანქვე-
ლები, რომელთა ცხოვრება მოითხოვს ინდივიდთა.
მრავალგვარ თანამშრომლობას, უსათუოთ აქეთ ენა..
მით უმეტესათ ითქმის იგივე მაღალ ცხოველების.
შესახებ. მაშ ენის განვითარება მოითხოვს საზო-
გადოებას. ადამიანიც მხოლოდ საზოგადოებაში იძენს
ენას. გაზარდეთ იგი საზოგადოების გარეშე და მუნჯი
გამოვა. ბასტიანი ამბობს: „ასეთი ინდივიდუუმი
არარაობაა, უკეთეს შემთხვევაში იდიოტი; მხოლოდ
საზოგადოებაში აზრს ეძლევა შეგნებული გამომქლავ-
ნება ენის შემწეობით, და ამნაირათ ადამიანის ბუნება
სრულ მნიშვნელობას მოიპოვებს. დასაწყისი და ძი-
რითადი ელემენტი არის საზოგადოების აზრი, სა-
ზოგიდოებრივი აზრი; მხოლოდ შემდეგ მისგან მი-
ვიღებთ ანალიზის პროცესით ინდივიდუუმის აზრს“.
ლეტურნოს ერთი ახირებული ამბავი მოყავს, რომ-
ლის სიმართლე არც ისე საეჭვოა. 1594 წელს ინ-
დოეთში მისიონერად მყოფ მღვდელ ი. კსავიეს გაუ-
გონია თვით სულთან აკბარასაგან შემდეგი. სულ-
თანს სურდა გამოერკვია, თუ როგორ წარმოსდგა
ენა. ამისათვის მან ბრძანა 30 ბავშვი დაემწყვდიათ
ერთად საპყრობილეში და აღეზარდათ ძიძების და-
მცველების ზედამხედველობის ქვეშ. იმავე დროს ამ
ამღზრდელებს სასტიკად ნაბრძანები ქონდათ, ერთი
კრინტიც არ დაეძრათ ბავშვებთან, წინააღმდეგ შე-
მთხვევაში მოელოდათ სიკვდილით დასჯა. დაიზარ-
დნენ ბავშვები და გამოდგნენ ყრუ, უგუნური ახალ-
გაზრდები, რომელნიც ლაპარაკის მაგიერ მიმიკას
ხმარობდნენ თავის ცხოველურ მოთხოვნილებათა

გამოსახატავად. თუ რამდენად ძლიერია ყოველ ადამიანში საზოგადოებრიობა და თავისი აზრების გაზიარების საჭიროება, ამას მშვენიერად გვისურათებს ერთი სერბიული ზღაპარი. მეფეს ტროიანს თხის ყურები ება. ეს სასირცხვილოდ მიაჩნდა და ამიტომ ყველას მის გამპარსველს და იმ ნაწილის დამნახველს კლავდა. მაგრამ ერთი ყმაწვილი, რომელმაც იგი გაპარსა, მეფემ შეიბრალა, მხოლოდ ფიცი ჩამოართვა, რომ არავის არ გაუმელავენებდა ნახულს. ყმაწვილმა საიდუმლოება დაიცვა, მაგრამ იმდენად სამძიმო იყო მისთვის ეს სიჩუმე, რომ გახდა და დასნეულდა. მაშინ მან გადასწყვიტა დედამიწისთვის მაინც გაეზიარებია თავისი საიდუმლოება. წავიდა მინდორში, ამოთხარა ორმო, ჩაყო შიგ თავი და სამჯერ თქვა: „მეფე ტროიანს თხის ყურები აქვსო“. ამნაირად პირდაპირ დადგომა, აქედან წარმომდგარი ცვლილებანი ადამიანის ორგანიზმში ერთი მხრით, მეორე მხრით საზოგადოებრივი ცხოვრება—აი ის ორი ძირითადი პირობა, რომელთა შემწეობით ადამიანმა ბუნებრივი, ასე ვთქვათ, ცხოველური ენა დღევანდელ თანხმიან ანუ ხმა-დაყოფილ ენამდე განავითარა. ადამიანის ენას ჩვენ ასე იმიტომ ვუწოდებთ, რომ სიტყვა შესდგება ხმებისაგან იმის მზგავსად, როგორც რომელიმე ასო შემდგარია თავისი სახსრებისაგან. და ეს ხმებისაგან შედგენა დამახასიათებელი ნიშანია ადამიანის ენისა ცხოველურ ანუ ბუნებრივ ენასთან შედარებით, რომელიც დანაწილებულ და შეთანხმებულ ხმებს არ წარმოადგენს. ლექტურნო ამბობს: „ადამიანის მსგავს არსებათა ტვი-

ნისთვის ყვირილისაგან ენაზე გადასვლა იყო ნამდვილი პსიხიური რევოლუციის დასაწყისი. ამ ცვლილების მოხდენას მეტად დიდი დრო უნდოდა“. რომ ადამიანს თავისი ენა უეცრივ არ შეუძენია, არამედ შეუმუშავებია ათი ათასი წლოვით პსიხიურ მოქმედებაში, ამას სხვათა შორის მოწმობს ბავშვის განვითარებაც. ზევით ვთქვით, რომ ცოცხალ არსებათა მთელი სხვადასხვაობა დარვინის თეორიით წარმოსდგა სადა ელემენტარულ ნასახებისაგან, რომელნიც ურიცხვ ათას წლობის განმავლობაში თანდათან უფრო რთულ და მაღალ ორგანიზაციას იძენდნენ. ამ განვითარების კიბის უმაღლეს საფეხურზე დგას ადამიანის რთული აგებულობის ორგანიზმი. ყოველმა მოდგმამ თანამედროვე განვითარებამდე გამოიარა მთელი წრე განვითარებისა უბრალო უჯრიდან დღევანდელ სირთულემდე. ცხოველის ასეთ განვითარების ისტორიას ქვია ფილოგენია. ამავე დროს ინდივიდი ჩასახვის დღიდან, სანამ თავისი მშობლების გარკვეულ სახეს მიიღებდეს, ცვლილებათა მთელ წრეს განიცდის უსადეს ფორმიდან დაწყებული. მეცნიერებამ აღმოაჩინა, რომ განვითარების პირველ ხანაში ცხოველების ჩანასახები სრულიად ერთმანეთს ემზგავსებიან, მხოლოდ შემდეგ რამდენად ჩანასახი იზრდება, იმდენად მისი სახე ირკვევა. და ამ გამორკვევის პროცესში ურთულესი ორგანიზმის ინდივიდუუმში ყველა იმ საფეხურებს განვივლის, რომელნიც განუვლია მის წინაპრებს თავის განვითარებაში. ამიტომ მეცნიერები ამბობენ: ინდივიდუუმის განვითარება, ანუ ონტოგენია, არის

მისი გვარეულობის ისტორიის, ფილოგენიის, მოკლე და ზოგადი განმეორებაო. ეს საზოგადო ბიოგენეტიური კანონია. იგი ადამიანსაც შეეხება. ჩვენ აქ ეს კანონი გვინტერესებს მხოლოდ ენის შესახებ საკითხში. ბავშვის სხეულის პირველი მოძრაობა, მისი პირველი ხმები არიან მხოლოდ პირდაპირ გრძნობიერების გამომჟღავნება და არა განზრახი მოქმედება. მათ სრულიათ არ აქვთ ის დანიშნულება, რომ ბავშვის აზრი სხვას გააგებიონ. იეგერის დაკვირვებით, ბავშვი მხოლოდ მეოთხე კვირაზე ამოიღებს შეგნებულად ხმას—საქმელი მაქამეთო. მეორე და მესამე თვეზე იგი იწყებს ხელით მოქმედებას, უწვდის ხელს შორეულ საგნებს, და სანამ მასში ხმის მოძრაობა იჩენს თავს, ჩვენებითი ხერხი სავსებით განვითარებული აქვს. მხოლოდ პირველი წლის უკანასკნელ მეოთხედში ბავშვი ხმის მიბაძვას იწყებს. ბავშვის ხმის მიბაძობა ნათლად გვიჩვენებს, თუ რა როლს თამაშობს პრაქტიკული მოთხოვნილება ენის გაჩენის პროცესში. თავდაპირველად ბავშვი ბაძავს თავისი მკვებავის (ძიძის) ხმას და დიდხანს სხვა ხმებს არავითარ ყურადღებას არ ბქცევს. ამ ნაირად აქაც ვხედავთ, რომ ბავშვი უეცრივ კი არ ითვისებს ენას. ამ შეთვისებასაც თავისი თანდათანობა აქვს, როგორც ყოველგვარ განვითარებას საზოგადოთ ცხოველთა სამეფოში. და ეს თანდათანობა იმავე გეგმაზეა აგებული, რა გეგმითაც ადამიანმა შექმნა თავისი ენა.

ვფიქრობ, ცოტაოდნად მაინც გამოვარკვიე ის გზა, რომელსაც ენის შექმნის პროცესი ადგა. ამის შემდეგ ჩემი მიზანი მხოლოდ ადამიანის ენის ხასია-

თის გამორკვევა იქმნება. როგორც ზემოდ ვსთქვი, ენა სხვადასხვა სახისაა. ჩამდენად ხალხი განუვითარებელია, იმდენად მასში ხმა-დაყოფილი ენა სუსტია, ხოლო სხეულის მოძრაობის ენა უფრო ძლიერია. სხეულის მოძრაობა და სიტყვა პირველყოფილ ადამიანისათვის წარმოადგენენ ერთ განუყოფელ საშუალებას ურთიერთ გაგებისათვის. ველური ხალხის ლაპარაკში სახის გამომეტყველებას, მიმიკას, დღესაც დიდი მნიშვნელობა აქვს. მაგ., ბუშმენის ლექსიკონი იმდენად ღარიბია, რომ მისი აუცილებელი დამატება სხეულის მოძრაობაა, ასე რომ სიბნელეში ბუშმენის ლაპარაკი გაუგებარია. წითელ-კანიან ინდოელების ბევრი თემები ჩვეულებრივ ლაპარაკში უსათუოდ მიმიკას მიმართავენ და ხშირად სრული სიჩუმით დიდ ხანს ესაუბრებიან ერთმანეთს. მაშ სხეულის მოძრაობის შესუსტება ლაპარაკში და ხმა—დაყოფილ ენის გაძლიერება— აი ენის განვითარების გზა. როგორია ამ პროცესის ფაქტიური მიმდინარეობა? თავის ცნობილ შრომაში „ენა“ ფუნდტი ამნაირად გვიხსნის ხსენებულ მოვლენას. ერთად-ერთი ბუნებრივი, პირველყოფილი ენა არის მოძრაობათა ენა. ამა თუ იმ სხეულის მოძრაობას თან დაყვებოდა სალაპარაკო ორგანოების მოძრაობაც, ხმებითი მოძრაობა. ამ ნაირად თავდაპირველად უაღრესი მნიშვნელობა ჰქონდა მიმიკურ ნიშნებს, ხოლო მათ ახლდა ხმები. თავის თავად ხმას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. იგი შეადგენს ერთეულს მოძრაობასთან ერთად, რომლის გამოხმაურებაც მხოლოდ თანდათან ეს ხმა.

იძენს იმავე აზრს, რა აზრიც მის თანხმა მოძრაობას ჰქონდა და ამნაირად იჭერს იმის აღვილს. როგორც მიმიკური ენა, ხმის ენაც ვითარდება და უმჯობესდება საზოგადოებაში. თანდათან ხმის ენა იძენს უფრო მეტს მნიშვნელობას და უკან ტოვებს მიმიკის ენას. დასასრულ ხმა-დაყოფილი ენა ადამიანთა შორის აზრების გასაზიარებლად ერთად-ერთ საშუალებად ხდება. ენის განვითარება და ფსიხიური ზრდა ერთმანეთზე არიან გადაბმული, კვალ-და-კვალ მიყვებიან ერთმანეთს. თავისთავად საგულისხმოა, რომ ჯერ კონკრეტული საგანის სახელი განჩნდა, ხოლო განყენებითი შემეცნებანი განვითარების უმაღლეს საფეხურზე შემუშავდნენ. ტასმანიელები ცალ-ცალკე ყველა ხეს ასახელებენ, მაგრამ საზოგადო ტერმინი „ხე“ არ აქვთ. იმათ არ შეუძლიათ აგრეთვე აღნიშნონ სიტყვით ისეთი ნიშნები, როგორც მაგარი, რბილი, თბილი, ცივი, მოკლე და სხვა.

ენის შესწავლაში მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს თვლის სისტემას. მასთან ერთად იგი ზოგიერთ ველურ ხალხის საოცარ გონებრივ სილატაკეს გვიჩვენებს. არსებობენ ისეთი ხალხები, რომელთაც არ შეუძლიათ თავის ხელებზე თითები აითვალონ. ლიხტენშტეინის ჩვენებით, ბუშმენებს არ შეეძლოთ ორს შემდეგ თვლა. ბოტოკუდებს აქვთ „ერთის“ გამომხატველი სიტყვა, მხოლოდ ყველაფერს ერთზე მეტს „ბევრს“ ეძახიან. გრენლანდიის ესკიმოსები ოცის აღსანიშნავად ხმარობენ სიტყვას „ადამიანი“, ესე იგი იმდენი, რამდენი თითებიც აქვს ადა-

მიანს ხელ-ფეხზე. ამიტომ ასის მაგიერ ისინი იტყვიან „წ კაცი“. კულტურულ ხალხში კი კონკრეტული თვლა მხოლოდ ბავშვობაშია შემდეგ კი სრულიად განყენებულია. ამ ნაირად ენის განვითარება მიისწრაფვის გონებრივ ზრდასთან ერთად კონკრეტულიდან განყენებულისაკენ. ენა იწყებს კონკრეტულ სახელებიდან და თანდათან განყენებულ შემეცნებებს იძენს.

ენ ე ბ ი ს კ ლ ა ს ი ა ფ ა კ ა ც ი ა ა .

საზოგადო წარმოშობის და განვითარების ერთი ძირითადი მაჩვენებელთაგანი არის კლასიფიკაცია. ენათა კლასიფიკაცია შეგვიძლია ორ პრინციპზე ავაგოთ. შეგვიძლია ენები დავანაწილოთ მათი აგებულობის, მათი მორფოლოგიის მიხედვით ან და წარმოშობის მიხედვით. ჯერ ერთი გარემოება აღვნიშნოთ. სიტყვებში ჩვენ ვარჩევთ ფესვს, რომელსაც ყოველთვის შინაგანი, საკუთარი მნიშვნელობა აქვს. ჯ. ლებოკი ამბობს: „სიტყვების რიცხვი განათლებულ ხალხთა ენებში უსათუოდ ბევრია. მაგ.. ჩინური ენა შეიცავს 40 ათასს, ინგლისური ლექსიკონი უებეტრისა—70 ათასს, გერმანული ფლიგელისა—65,000. უმეტესი რიცხვი ამ სიტყვებისა შეიძლება ვაწარმოვოთ ღამწყე სიტყვებისაგან, ანუ ფეხვებისაგან, რომელთა რიცხვი ძალიან მცირეა. ჩინურ ენაში 450-მდე ფესვია, ებრაელურ ენაში—500, მაქს მიულერის აზრით, სანსკრიტი შეიცავს 121 ფესვს“.

პირველად აგებულობის მიხედვით ენების კლასიფიკაცია დააწესა გერმანელმა მეცნიერმა ვილჰელმ ჰუმბოლტმა. მან ენათა სხვადასხვაობაში სამი საფეხური, ანუ ფორმაცია გაარჩია. თავდაპირველად ყველა ენები ერთმარცვლოვანი იყვნენ, ესე იგი სიტყვა ერთი მარცვლისაგან შესდგებოდა. აქ ყოველი სიტყვა წარმოადგენდა ფესვს და თავისი დამოუკიდებელი მნიშვნელობა ჰქონდა. ბევრი ენა ვერც გამოვიდა ამ ერთმარცვლოვან მდგომარეობისაგან. პირველყოფილ ეგვიპტელთა ენა ერთმარცვლოვანი იყო, ერთმარცვლოვანია მონგოლების ოჯახის ხალხთა უმეტესის ნაწილის ენა: ჩინური, ტიბეტური და სხვ. სიტყვის ნაწილებს ჩინური ენა სრულიად არ არჩევს. ხმარების მიხედვით ერთი და იგივე სიტყვა ნიშნავს მოქმედებას, თვისებას გინდ საგანს და სხვ., ასე რომ გარეგენი სახით ჩინურ ენაში არავითარი განსხვავება არა აქვს არსებით სახელს, ზმნასა, ზედსართავსა, ზმნის ზედსა, თანდებულს შუა. ერთი და იგივე სიტყვა თავისი ადგილის მიხედვით წინადადებაში აღნიშნავს, რომელიც გინდა, სიტყვის ნაწილს. მაგალითი: ვო ღა ნი ნიშნავს: მე გცემ შენ. ნი ღა ვო კი ნიშნავს: შენ მცემ მე. ასეთი ენა მეტად ღარიბია ფორმებით. მიუხედავად ამისა ჩინელი ისეთი ხელოვნებით ხმარობს თავის ენას, რომ მეტად ფაქიზ შთაბეჭდილებათა გადმოცემა ეხერხება. ჩინური ლიტერატურა აგერ ±000 წელიწადია არსებობს და საგრძნობლად მდიდარი და მრავალფეროვანია.

ენის განვითარების მეორე საფეხურზე სრუ-

ლიად უცვლელი რჩება სიტყვის ფესვი, ხოლო მეორე ხარისხოვანი ნაწილები, როგორც, მაგ., დაბოლოვებანი პირის, რიცხვის და დროს აღსანიშნავად იცვლებიან. ესაა ტერმინაციონური, აგლუტაციონური, შემაკავშირებელი ენები. ამ ენათა ჯგუფს ეკუთვნის კაცობრიობის ენების უმეტესი ნაწილი, სხვათა შორის იაპონური.

მესამე საფეხურზე ენა განიცდის ცვალებადობას არა მარტო დაბოლოვებაში, თვით ფესვებშიაც. ამიტომაც მესამე საფეხურის ენები გაცილებით უფრო მომყოლი და განვითარებული არიან აზრის გამოსათქმელად. ამ ენებზეა დღეს საუკეთესო ლიტერატურა. აქ სიტყვის შემადგენელი სხვადასხვა ელემენტები ისე გადახალისებული არიან ერთმანეთში, ფესვის პირვანდელი ხმები იმდენად იცვლებიან, რომ მხოლოდ სპეციალისტ მეცნიერთ შეუძლიათ ამ სიტყვებში აღადგინონ ფესვის პირვანდელი მნიშვნელობა. ასეთ ენებს ეძახიან ორგანიულ, გადამახალიებელ, გინდ ფლექსიან ენებს. ფლექსიან ენებს ეკუთვნიან ევროპიელთა ენები, სემიტური და აგრეთვე ქართული ენაც. ამ სახით მორფოლოგიურად ყველა ენები სამ ჯგუფად შეგვიძლია დავყოთ მათი განვითარების მიხედვით. პირველი ჯგუფის ენები—ერთმარცვლოვანი, თუ გამცალკევებელი, მეორესი—ტერმინაციონური ანუ შემაკავშირებელი, მესამესი—ფლექტიური, ორგანიული ანუ გადამხალისებელი.

აქ მოყვანილ კლასიფიკაციას საფუძვლად უდევს აგებულობა. გაცილებით უფრო ძვირფასია ჩვენთვის

წარმოების მიხედვითი, ანუ შინაგან ნათესაობაზე აგებული კლასიფიკაცია. მეცნიერები და მათთან ერთად დარვინი ამტკიცებენ, რომ ადამიანთა რასები წარმოსდგენ ერთ დამწყე ძირისაგან. აქედან ს-გულისხმოა, რომ თავდაპირველად ადამიანთა ოჯახს ერთი საერთო ენა ქონდა. აი მეცნიერებას რომ შეეძლოს ამ ენის აღდგენა, მაშინ მისი დღევანდელი გაფორმება, შტოებათ წასვლაც ადვილი ასახსნელი იქნება. მაგრამ ეს საკითხი დაუძლეველია დღევანდელ მეცნიერისთვის. და ეს აიხსნება ადამიანის კულტურული განვითარების ხასიათით. ადამიანები დანაწილდენ განცალკევებულ თემებათ უფრო ადრე, ვიდრე მათი ენა მოასწრებდა გარკვეულ სახის მიღებას. ენის სიმტკიცე თვითეულ ჯგუფშიაც დამოკიდებულია კულტურულ სიმტკიცეზე. ალფრედ როზენშტეინი ამბობს: „პაპუასების და წითელ-კანიანების კილოები იმდენათ მოკლებული არიან სიმტკიცეს იმდენათ გაურკვეველი არიან, რომ მხოლოდ ერთი თაობის სიცოცხლეში ენები ჩნდებიან, ქრებიან, და ხელახლა ღორძინდებიან ახალი სახით, ასე რომ მოხუცთ აღარ ესმით ახალგაზრდების ენა. ეს გვიჩვენებს, თუ რა სუსტია აქ ის კულტურული კავშირი, რომელიც აერთებს ცალკე ინდივიდებს. გარდა ამისა პირველ-ყოფილ ადამიანის ცხოვრება ისეთი იყო, რომ ადამიანები ცხოვრებდენ მხოლოდ პატარ-პატარა ჯგუფებათ, რომელთა შორის მიმოსვლა და ურთიერთობა თითქმის მოსპობილი იყო. ამიტომ პირველყოფილი ენა მეტად დანაწილდა და ყოველი შტო, მოკლებული ურთიერთ გავლენას,

თავისი საკუთარი განვითარების გზას დაადგა. ამნაირათ, როგორც ვხედავთ, დამწყვე ენის კვალი დღევანდელ ენებში იმდენათ მკრთალი და უჩინარია, რომ მისი აღმოჩენა მეტად ძნელია, მეორე მხრით ენები ძალიან აღრე გაითიშენ და თავისებურ განვითარების გზას დაადგენ. მიუხედავად ამისა მეცნიერება ცდილობს აღადგინოს ცაქტების შემწეობით ენათა ევოლიუცია. აქ ასპარეზზე გამოვიდა შედარებითი ენების შესწავლა. მეცნიერებმა მიზნათ ჯაისახეს: ცალკე ენების შედარება ერთმანეთთან, მათი საერთო ნიშნების აღმოჩენა და ამ ნაირათ თანდათან ძველი ერთობის სურათის აღდგენა. ამ მხრით შედარებით ყველა ენებზე უფრო კარგათ შესწავლილია იმ ხალხთა ენები, რომელნიც შეადგენენ კავკასიის, ანუ თეთრ-კანიანთა რასას.

პირველი ადგილი ყველა ენათა შორის თავისი ისტორიული და გეოგრაფიული მნიშვნელობით ეკუთვნის ინდო-ევროპიულს, გინდ არიულ ენათა ოჯახს. ამ ენის შტოებია: ინდიური, სპარსული, ბერძნული, იტალიური, კელტური, გერმანული, სლავიანური. ამ შტოების ერთი დამწყვე ენისაგან წარმოშობა დღეს ყოველ ექვს გარეშეა. ინდო-ევროპიელთ შემდეგ სემიტურ თემს პირველი ადგილი უჭირავს ისტორიაში. დღევანდელ სამ უმთავრეს საწმუნოებათა შორის ორი—ქრისტიანობა და მუსულმანობა გაჩნდა სემიტებში. სემიტურ ენების ოჯახი სამ შტოთ ნაწილდება: არამეიელთა, ანუ ჩრდილოეთის შტო, ებრაელური და არაბული. პირველი არსებობდა სირიაში, მესოპოტამიაში და ბა-

ბილონის ნაწილში, მეორეს წარმომადგენელი არის პალესტინის ძველი ენა. ამავე შტოს ეკუთვნიან კართაგენის და ფინიკიის ძველი ენები. მესამე გაჩნდა და დღესაც არსებობს არაბეთის ნახევარ კუნძულზე. სემიტურ და არიულ ენებს შორის განსხვავება თვალსაჩინოა. ამ ენების გრამატიკული აგებულება სხვადასხვა ნაირია. მიუხედავად ამისა, ჩვენ შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ ორივე ეს ენათა ოჯახი განვითარდა ერთი დასაბამიდან და მხოლოდ შემდეგ სხვადასხვა გზას დაადგა. ეს ერთობის ნიშანი რომც დავასაბუთოთ, ამით მაინც თეთრკანიანთა ენის ერთობა არ იქნება სავსებით დამტკიცებული. აი რას ამბობს ე. ტაილორი ამის შესახებ: „რომც შევიძლოთ და არიულ და სემიტურ ენების ოჯახთა ერთ დასაწყის ოჯახის კუთვნილება დავამტკიცოთ, ეს მაინც არ მოგვცემს ნებას ვთქვათ, რომ თეთრკანიანთა რასას ერთი დამწყე ენა ქონდეს, რადგან ქართული ენა და ბასკების ენა პირენეის ნახევარკუნძულზე და ბევრი სხვაც დარჩებოდა ამ ოჯახის გარეშე; იმიტომ რომ ჯერ არაფერი საბუთი გვაქვს მათი ერთობისა, როგორც ამ ენებთან, ისე ერთმანეთ შორის“.

აქედან ვხედავთ, რომ ჩვენი სამშობლო ენა ჯერ-ჯერობით განცალკევებულად დგას. ყოველ უწინარეს ეს გარემოება უნდა მივაწეროთ ჩვენ განსაკუთრებულ მდგომარეობას, რომელმაც დახშო ჩვენში თვით-მოქმედება და რაც გონებრივი ძალები გაგვიჩნდა, ისინიც ჩვენი ცხოვრების გარეშე მუშა-

ობენ. დღემდისაც არ გვყავს საკუთარი მკვლევარები, რომლებიც მარტო ჩვენი ენის ინტერესით იყვნენ გამსჭვალულნი. ხოლო სხვა ენებისათვის ათასობით მუშაობენ მეცნიერები მთელ საზოგადოებად და კორპორაციებად შეერთებულნი. ქართული ენის შესახებ დღემდის ორი-სამი ჰიპოტეზაა გამოთქმული და ისინიც საკმაოდ დასაბუთებას მოკლებულნი არიან. ამიტომ აქ ჩვენ თავს ვანებებთ ამ ჰიპოტეზების გადმოცემას.

ენის კულტურულა მნიშვნელობა.

რა მნიშვნელობა აქვს ენას ადამიანის კულტურაში?

შელინგი ამბობს: უნოდ სრულიად წარმოუდგენელია არა თუ ფილოსოფიური, არამედ ჩვეულებრივი ადამიანური შეგნებაც კი. მართლაც და ენას მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს ადამიანის განვითარებაში. ცოტად თუ ბევრად განვითარებულ აზრისა და გრძნობის გამოთქმისათვის შეწყობილ ენის შემწეობით ადამიანი ბავშვობიდანვე ითვისებს უთვალავ შემეცნებათ, რომელნიც შეუმუშავებია მის წინა-პრებს ათასი წლიური განვითარების პროცესში და ამგვარად ერთბაშად იძენს თავისი დროის და ხალხის ცოდნას. ენა არის ის კულტურული ძაფი, რომელიც გაბმულია ურიცხვ თაობათა შორის და შეუწყვეტლივ მოგვაწვდის წინანდელ თაობათა ნამუშავარს. სიტყვების შემწეობით ჩვენ ვსწავლობთ ბევრს ისეთ რამეს, რის გამოარკვევას, გან-

ყენებას და ახსნას ჩვენმა წინაპრებმა ათასი წლები მოანდომეს. ბავშვობიდანვე ვსარგებლობთ სიტყვებით, რომელნიც წარმოადგენენ საუკუნოებით დაზოგვილ კონკრეტულ და განყენებულ შემეცნებათა ნიშნებს. ამით ჩვენ ვიძენთ მოკლე დროში ისეთ გონებრივ და ზნეობრივ განძს, რომლის შეძენა განცალკევებით არაფერ შემთხვევაში არ შეგვეძლო. ენის შემწეობით ამ შემეცნებათ ადამიანი იძენს თითქმის უჯაფოთ, ისე როგორც ჰაერს, მზის სხივებს. ამავე აზრს გამოსთქვამს ცნობილი მეცნიერი ვუნდტი: „ცხადი წარმოადგენანი ჩვენ გვაქვს არა უმეტეს იმისა, რისიც სიტყვებით გამოთქმა შეგვიძლია“. ტოკვილის აზრით, ენით ერთობა შესაძლოა ყველა ერთობაზე უფრო ძლიერი და მტკიცე იყოს ყოველგვარ ერთობათაგან, რომელნიც ადამიანებს აკავშირებენ. ამნაირად ენის ერთობას მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს. აქ ჩვენ უნდა გამოვიკვლიოდ სამშობლო ენის მნიშვნელობა. მაგრამ მანამდის ცოტაოდნად მაინც უნდა შევხვით მეორე კითხვას. როგორც ვიცით დღეს კაცობრიობა სხვათა შორის დანაწილებულია ეროვნებათ, ყოველ ერს ატყვია თავისებურობა, ყოველ ერს თავისი კულტურული განძი აქვს და საზოგადო კაცობრიულ მსვლელობაში თავისებურ გზას იკაფავს. რა არის ერი? ის არ შეგვიძლია ვიცნოთ, როგორც ანტროპოლოგიური ერთობა, იმიტომ რომ თითქმის არც ერთი ხალხი არ მოიპოვება ისეთი, რომელიც არ წარმოადგენდეს სხვადასხვა ანტროპოლოგიურ ერთეულთა არევის შედეგს. არ შეგვი-

ვებდენ, ყიდდენ და აჩუქებდენ. ახლა ის დრო სამუდამოდ წავიდა. შეგნებული ერი, რომელსაც აქვს თავისი ლიტერატურა, რამდენადაც მცირედი უნდა იყოს, ყოველთვის შესძლებს ბრძოლა აიტანოს და თავისი ვინაობა სხვას არ გააქეღვინოს.

მაშენი თვითონ არ უარყოფს თავის თავს, ძალით კი მას ვერაფერს მოსპობს. სადაა მეორე გზა? ამის გასარკვევად მივმართოთ ავსტრიას. როგორც მოგეხსენებათ, ავსტრიაში ბევრი ერი ცხოვრობს: აქაა წინანდელი ბატონი გერმანელი, აქაა ჩეხი, პოლონელი, რუსინი, იტალიელი. ისიც მოგეხსენებათ, რომ ავსტრიის პარლამენტი დიდი ხანია ეროვნულ კითხვის გასარკვევად თავს იმტვრევს. ბოლო დროს იმდენად გამწვავდა საქმე, რომ პარლამენტმა სრულიად დაკარგა შრომის უნარი და თავის მოვალეობას ვეღარ ასრულებს. რატომ? იმიტომ რომ ავსტრიაში არ არსებობს საყოველთაო თანასწორი არჩევნის უფლება. იქ არჩევანი ცენზის მიხედვით ხდება და იმიტომაც პარლამენტი შეძლებულ კლასის წარმომადგენლებისაგან შესდგება. ხოლო ამ კლასის წარმომადგენელთა ყველას საერთო თავისება აქვთ: გერმანელი, პოლონელი, ჩეხი პრინციპებით არ განირჩევიან ერთმანეთში. ყველა თავისისაკენ იწევს, ყველას ბატონობა უნდა. პოლონელი ბურჟუა თუ თავის ეროვნების გაძლიერებას ცდილობს, რუსინებზე გაბატონებას და მათ დაბეჩავებას იცავს. ამ ნაირად ახლანდელი პარლამენტი ვერავითარის გზით ეროვნულ კითხვის გადაწყვეტას ვერ შესძლებს, რადგან ის ბატონობის პრინციპს

ადგია. თუ გარემოება არ შეიცვალა, თუ ავსტრიაში არ შემოვიდა საყოველთაო თანასწორი არჩევნის უფლება, ავსტრია დღევანდელ კრიზისსაც თავს ვერ დააღწევს, თუ არ პოლიტიკურ არსებობის მოსპობით. სულ სხვა ნაირად გადაწყვეტს ამ კითხვას დემოკრატია. მართლაც ს.-დემოკრატიის პარტია ამბობს: არა აქვს არც ერთ ხალხს მეორე ხალხზე ბატონობის უფლებაო. ერები თავისუფლად უნდა ახორციელებდნენ დემოკრატიულ პრინციპებსო. ავსტრიის ს.-დემოკრატია მ პრაქტიკულადაც გადასწყვიტა ეროვნული საკითხი. ავსტრიის მუშათა პარტია შემდგარია სრულიად ავტონომიურ ნაციონალურ მუშათა პარტიებისაგან: გერმანელთა, ჩეხთა, პოლონელთა, რუსინთა და სხვ. ყოველ ნაციონალურ პარტიას აქვს თავისი ნაციონალური საბჭო. მათი გამაერთიანებელი დაწესებულებაა საერთო პარტიული პერიოდული კრება, რომელზედაც იკრიბებიან ყველა ეროვნებათა დელეგატები და იხილავენ ისეთ კითხვებს, რომელნიც მთელ პარტიას შეეხებიან. იქვე არსებობს აღმასრულებელი ორგანოც, საერთო პარტიული საბჭო და სეკრეტარიატი. მაშაი სად უნდა ვეძიოთ ჩვენ ნაციონალურ კითხვის გადაწყვეტა. მისი გადამწყვეტია დემოკრატია, რომელიც აღიარებს ეროვნებათა თანასწორობას და აქედან მომდინარე წყობილებას—ფედერაციას. ამნაირად ნაციონალურ კითხვის გადაწყვეტა ეროვნების უარყოფაში კი არ არსებობს, არამედ ეროვნებათა უფლებრივ გათანასწოლებაში. ხოლო ამ გათანასწოლების შედეგია ეროვნულ ენის დამყა-

რება ისეთ დაწესებულებებში, რომელთა ნორმალური განვითარება და არსებობა უამისოდ შეუძლებელია. ასეთია აღზრდის დაწესებულებანი, ლიტერატურა, ეკლესია ადმინისტრაცია და სამსაჯულო. პირველ ორის შესახებ ჩვენ ცალკე მოვილაპარაკებთ. ეკლესიის და სამსაჯულოს შესახებ ორიოდე სიტყვა. ყოველ ადამიანის უფლებაა ირწმუნოს და ილოცოს, როგორც სურს. მხოლოდ ეს მისი სარწმუნოება არ უნდა იყოს პოლიტიკური იარაღი სხვის ხელში. ამიტომ ეკლესიის არსებობა შესაწყნარებელია როგორც სინიდისის თავისუფალი გამომჟღავნება თავისი კულტით ყოველივე პოლიტიკური ძალების გარეშე. ამ პრინციპის განხორციელებას თავისთავად მოჰყვება სამშობლო ენის ხელშეუხლებლობა სარწმუნოების საქმეში. სამსაჯულოს და ადმინისტრაციის შესახებ ხომ იმდენად ცხადია კითხვა, რომ ლაპარაკიც მეტია. ყველასთვის აშკარაა, რომ შეუძლებელია მართლმსაჯულება და კანონიერება იქ, სადაც მოსამართლეს და გასასამართლებელ პირებს ერთმანეთის ნალაპარაკევი არ ესმით.

ე ნ ა თ ჯ ა ხ შ ი .

საზოგადოებრივ მეცნიერების განვითარებამ ნათლად დაგვანახა, რომ საზოგადოებრივ ორგანიზაციის ყველა სახე განცალკევებულ რამეს არ წარმოადგენს, ყველა ეს სახე ურთიერთის გავლენით გადახლართულნი არიან ერთმანეთში და თავის განვითარებაში ერთ და იმავე ძირითად კანონებს ემორჩილებიან. ოჯახის დღევანდელ ორგანიზაციაც მჭიდროდ შეკავშირებულია საზოგადო წყობილებასთან და თავის

წევრების ურთიერთ დამოკიდებულებაში ნათლად აღბეჭდავს ამ წყობილების თვისებებს. მიუხედავად ამისა ოჯახი ყველა საზოგადოებრივ ორგანიზაციაში უფრო თავისუფალ ორგანიზაციად უნდა ვიცნოთ. ოჯახის წევრი უფრო თავისუფლად გრძნობს თავის თავს და ძნელია მას ძალა დაატანონ გარეშე მდგომმა პირებმა, გინდ დაწესებულებებმა. აქიტომ ოჯახი ადამიანის მისწრაფებათა, მის სიმპატიათა შედარებით დამოუკიდებლად გამომხატველ ასპარეზად უნდა ჩავთვალოთ. აქიტომ ოჯახში ადამიანი უფრო ადვილად იცავს და ავითარებს იმას, რაც უყვარს, რაც მის მისწრაფებას ეთანხმება. და სწორედ ამის გამო ოჯახს განსაკუთრებული მნიშვნელობა ეძლევა, როცა ერი დამონებულია და მას წართმეული აქვს სახსარი ფართო საზოგადოებრივი მოქმედებით თავისი ვინაობა დაიცვას. ეს აზრი მშვენივრად გამოთქმული აქვს რუდოლფ ვირხოვს: „ხალხის განათლება და განვითარება—სწერს იგი—მხოლოდ მაშინაა მკვიდრი, როცა ის ჩანერგილია ოჯახში. აქ თაობიდან თაობამდე მკვიდრდება არა მარტო ზნეობა, არამედ მეცნიერების საჭიროების პრაქტიკული შეგნებაც, აქ ძველი ზნე-ჩვეულებაც და პროგრესიც პოულობენ ნამდვილ სიმკვიდრეს. აქ ბავშვი ავითარებს თავისი ბუნების ისეთ მხარეებს, რომლებზედაც არ შეუძლია ზრუნვა არც საზოგადოებას და არც სახელმწიფოს. თუ რა შეუძლია ოჯახს თვითარსებობისათვის ბრძოლაში იმ შემთხვევაშიაც კი, როცა ის ვერ სარგებლობს ვერც საზოგადოებისა და ვერც სახელმწიფოს დახმარებით,

გარეშე საჭიროების გამო, უცხო ენა ვერ ხდება თავის ენათ და ინდივიდის აზროვნების საფუძველი შეურყვევლი რჩება. განსაკუთრებით თითქმის ყოველივე გავლენას მოკლებულია უცხო ენის გარეგნულათ, როგორც ოფიციალური ანუ სახელმწიფო ენის თავზე მოხვევა. იმ შემთხვევაშიაც კი, როცა ინდივიდი ნებაყოფლობით, ხმარობს თავის მოქმედებაში უცხო ენას—ან თავისი ხელობის, პროფესიის გამო იძულებულია ილაპარაკოს უცხო ენაზე, ანდა როცა უცხო ენას მიმართავს თავისი გონებრივი განძის გასაძლიერებლათ, —ყოველ ამ შემთხვევაში უცხო ენა უსათუოთ არ აქარბებს სამშობლო ენას. სულ სხვა მოვლენას ვხედავთ, როცა უცხო ენა ხდება ოჯახის ენათ. ამ შემთხვევაში ენას ძლიერი ზედმოქმედება აქვს ინდივიდზე და მეტი მეტი სიაღვილით ხდება ერთი ენიდან მეორე ენაზე გადასვლა. და სწორეთ იმ გარემოებაში, რომ შესწავლის შემწეობით უცხო ენა შეიძლება ამაღლდეს ოჯახურ ენამდე, იმარხება საფრთხე ეროვნებისათვის.“

ამნაირათ ეროვნული ინტერესი მოითხოვს, რომ ოჯახში სავსებით დაცული იყოს სამშობლო ენის სიწმინდე. აქ არავითარ სხვა ენას აღგილი არ უნდა ქონდეს. შეიძლება აქ ვინმემ გაიღიშოს და ირონიულათ მითხრას: „ეს შენი ოცნებაა, ჩვენ კი ცხოვრების მიხედვით ვმოქმედებთო“. სრულიადაც არა. ყოველ სურვილს, ყოველ მიწრაფებას იმდენათ აქვს ძალა, რამდენათ ის დაფუძნებულია ბუნების კანონზე, რამდენათ ის შეთანხმებულია განვითარების პროცესთან. და აი სწორეთ ჩვენი აზრი

ოცნება კი არაა. ის ბუნებრივი განვითარების აუცილებელი მოთხოვნილებაა, ის აუცილებელი პირობაა ნორმალური ზრდისათვის.

როცა აღზრდაზე ჩამოვადგებთ ლაპარაკს, უსათუოთ უნდა გვქონდეს გარკვეული მემკვიდრეობითი კანონის ძალა. რომ მემკვიდრეობითი კანონი ორგანიულ ბუნებაში ძლიერათ მოქმედებს, ეს ყოველ ექვს გარეშეა. ყოველი ჩვენგანი მუდმივ ხედავს მის გამომჟღავნებას აურაცხელ მაგალითებზე. ხოლო საქმე ისაა, გარკვევით ვიცოდეთ, რა ფარგალში მოქმედებს ეს კანონი. როგორც სულიერის, ისე სხეულის მხრივ ჩვენ შეგვიძლია ვიცნოთ მხოლოდ სხეულის თვისებათა მემკვიდრეობა, როგორც შესაძლო განვითარება. სხეულის თვისებათა მემკვიდრეობა გამოიხატება იმაში, რომ მემკვიდრეობით გადაიცემა ამა თუ სხეულის ნაწილის განვითარების უნარი. თავდაპირველად ჩანასახში არავითარი თავისებურობა არ ჩანს, ყოველი ეს თავისებურობა შედეგია დამოუკიდებელ განვითარებისა; ამიტომ ჩანასახში განვითარების უნარი გამოხატულია, როგორც შესაძლო რამ, ესე იგი პოტენციალურად. იგივე ითქმის სულიერ მხარეზედაც. ცოცხალ არსებაში მზად კი არაა მომწყვდეული მისი მომავალი მოქმედების სახე, სანამ ეს მოქმედება დაიწყებოდეს, გამომჟღავნებოდეს. ყოველი არსება მისი საერთო ორგანიზაციით მიიღებს გადაჭარბებულ მისწრაფებას ამა თუ იმ მოქმედებისათვის. ხოლო ამ ნიქს თავისი გამომჟღავნებისათვის

შესათფერი პირობები და ნორმალური ზრდა და მოვლა სჭირია.

ბავშვი იწყებს ამოძახით, ყვირილით. ეს მისი ბუნებრივი მოთხოვნაა. ეს სასუნთქი აპარატის რეფლექსია. შემდეგ იგი ხმებზე, უბრალო, სადა გამოთქმებზე გადადის და მხოლოდ ამის შემდეგ ბავშვი თანდათან ყურადღებას აქცევს ჩვენ ენას და მასში იწყება ჩვენი ენის მიმბაძობა, ოჯახის ენის შეთვისება. ამ შემთხვევაში აღზრდის ხელმძღვანელი არ უნდა ჩქარობდეს, რომ რაც შეიძლება, მეტი სიტყვა ასწავლოს ბავშვს. პირიქით ენის შეთვისების ძირითადი პრინციპია: შინაგანი, დამოუკიდებელი განვითარება ყოველთვის ენის განვითარებას უნდა მიუძღოდეს, რომ ბავშმა ჯერ გამოიკვიოს აზრი, და შემდეგ მისი სიტყვიერი სახე*). 1წ — 1წ თვის ბავშვისათვის საკმარისია ორმოცდაათიოდე საგნების სახელი. ამნაირად უნდა იყოს მიმართული ბავშვის განვითარება. ჯერ საგანი, ჯერ აზრი და მერე სახელი, და რადგან ამ სახელების შეთვისება, მათი დალაგება, მათი ურთიერთობის გამოხატვის შეთანხმება მოითხოვს დიდ გონებრივ მუშაობას, ამიტომ აუცილებლად ბავშვს უნდა მიეცეთ მხოლოდ ამ გამოხატვის ერთი სისტემა, ერთი

*) ჩვენ ოჯახებში ხშირად ნახავთ ასეთ სურათს. ბავშვს ძლიერ-ძლივობით ენა ამოუდგამს, ძლიერ-ძლივობით მოკლე აზრს გამოსთქვამს, დედ-მამა კი ლექსებს ასწავლის, რომ სტუმრები გააოცონ, შემოგვხედეთ, რა ნიჭიერი შეილი გყავსო. აქ გონებრივი სისალე მშობლების მამაობის წსხვერპლად ხდება და სწორედ არ მოსაწონია ასეთი ცრუ მამაობა.

ენა. ამ დროს ორ ენაზე ლაპარაკი მოასწავებს ბავშვის გონების გარებას, მის ფსიხიურ ბუნებრივ გაყოფას. ბავშვის შეხედულება ნაწილდება ორ გამოთქმის სისტემის, ორ ენის შორის. ერთ საგანს ასახელებს ერთ ენაზე, მეორეს მეორეზე; ერთ აზრს გამოთქვამს ერთი ენის შემწეობით, მეორეს გაშლათქმელად მიმართავს მეორე ენას. ამნაირად ბავშვის აზროვნებას ეკარგება სიმრთელი, ერთიანობა. ამით მისი გონების ზრდის პროცესი ფერხდება, სუსტდება განყენებითი მსჯელობის ნიქი და იხშობა ბავშვში შემოქმედებითი ძალა. საბოლოოდ ბავშმა თითქო ორივე ენა იცის, მაგრამ ნამდვილად კი არც ერთი არ იცის. ასეთი აღზრდის შედეგი ყოველ წუთში თვალ-წინ გვიდგია. არა ერთი ქართველი იწყებს ლაპარაკს ერთ ენაზე, მაგრამ უეცრივ გადასკუბდება მეორეზე და ორივე ენას ერთმანეთში ურევს. ეს არევა მისი აზროვნების უსისტემობის მაჩვენებელია, ეს მისი ორთავიანობაა. და როცა ერთ თავში ორი თავი ბუდობს, ორი აზროვნების სისტემა არსებობს, რა საკვირველია საღი არც ერთი აღარ იქმნება.

აქ საჭიროა მივაქციოთ ყურადღება კიდევ ერთ გარემოებას. ბავშვობა ადამიანის განვითარებაში მეტად ძვირფასი ხანაა. ამ დროს ადამიანი აგროვებს ძირითად შთაბეჭდილებებს, რომელნიც საფუძვლად ედება შემდეგ მის განვითარებას. ამიტომ ჩვენ უნდა ვცდილობდეთ ბუნებრივი პროცესის შეუფერხებლად რაც შეიძლება მეტი ცოდნა, მეტი შთაბეჭდილებანი მივაწოდოთ ბავშვს. როცა

თქვენ ბავშვს ორ ენას ასწავლით, ბავშვი დროს კარგავს არა ახალი ცოდნის შესაძენად, არამედ ერთი და იგივე შემეცნებათა და შთაბეჭდილებათა ორგვარ სახელის სასწავლად. ამით ის სიტყვებს სწავლობს, ერთი და იგივე საგნის სახელებს აორებს, ხოლო, ცხადია, ამ სახელების გაორებაში მისი გონებრივი საზრდო ღარიბდება. ამნაირად ბავშვობისას ორი ენის ერთად სწავლება მოასწავებს პიროვნების გონებრივ დაძაბუნებას, მისი შემოქმედებითი ძალის შესუსტებას და რადგან ყოველი ჩვენგანი უნდა ცდილობდეს ადამიანი, რაკ შეიძლება უფრო საღად აღზარდოს, რომ სავსებით განვითარდეს მისი ნიჭიერება, ამიტომ ერთხელ და სამუდამოდ უნდა ვიცოდეთ: ოჯახში მხოლოდ სამშობლო ენას უნდა ჰქონდეს ადვილი, და ვინც ბავშვს ორ ენაზე ატიტინებს, ის დედის ძუძუსთან ერთად შეასისხლხორცებს მის გონების გამანადგურებელ ორთავიანობას, გონებრივ სიჩლუნგეს, რითაც ავნებს, როგორც ბავშვს, ისე მასთან ერთად, მთელ იმ საზოგადოებას. სადაც ბავშვის სამოქმედო ასპარეზი იქნება.

ე ნ ა ს ე ო ლ ა შ ი .

ენის მხრივ ოჯახს თან მოსდევს სკოლა. ოჯახი და დაწყებითი სკოლა შეადგენენ იმ წრეს, რომელშიაც ბავშვის გამორკვევის ხანა სრულდება. ამნაირად ორივეში ერთი და იგივე სისტემა უნდა იყოს. მერე რას ვხედავთ დღეს? სანამ ამ კითხვაზე, პასუხს გავცემდეთ საჭიროა გავითვალისწინოთ,

თუ რა არის სკოლა და რა ადგილი უჭირავს მას საზოგადო კულტურულ მსვლელობაში. ისტორიულ თვალთ რამ შევხედოთ სკოლას, დავინახავთ, რომ მას არ აქვს დამოუკიდებელი მსვლელობა, პირიქით იგი მომწყვდებულია საერთო კულტურულ მსვლელობის ფარგალში. აღრდას მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს ადამიანისათვის, აღზრდით ჩვენ შეგვიძლია დავაძაბუნოდ ადამიანი, დაჩაგროდ მისი პიროვნება, შევასუსტოთ მისი დამოუკიდებლობა, ჩავუნერგოთ მას ისეთი აზრები, რომელნიც ჩვენთვის სასარგებლოა, გავიხადოდ ჩვენ მორჩილად. პირიქით, აღზრდით შეგვიძლია ადამიანში განვაფითაროთ დამოუკიდებლობა. საგნების კრიტიკული თვალთ განხილვა, პიროვნული ღირსება, საუკეთესო იდეალებით გატაცება, ყველა ეს თვისებები ისეთია, რომელთაც დიდი მნიშვნელობა აქვთ საზოგადოებაში. ამიტომ თავიდანვე სკოლას მიეცა საზოგადოებრივი დაწესებულებების ხასიათი. სკოლა საზოგადოებრივი აღზრდის ორგანიზაციაა, და რადგან ყოველი მთავრობა დაინტერესებულია აღზრდა თავის მიმართულებით: აწარმოვოს, თავის მოთხოვნილებათ ამსახუროს, ამიტომ აღზრდის საქმე გახდა საელმწიფოს მონოპოლიად. მაშ სკოლის ორგანიზაციის ხასიათი, მისა შინაარსი დამოკიდებულია იმაზე, თუ ვინ უდგას სახელმწიფოს სათავეში. რადგანაც დღევანდელ წყობილების ბატონი ბურჟუაზიაა, ამიტომაც დღევანდელი სკოლაც თავისი ორგანიზაციით ღ სასწავლო მასალითაც სავსებით მოწყობილია გაბატონებულთა მიზნის სასამსახუროდ.

ვაქრობის და ტექნიკის განვითარებამ და გართულებამ გამოარკვია, რომ უსწავლელი ადამიანი ყოველად გამოუდგეარია. დღევანდელ მუშას, რომელიც განაგებს რთულ მანქანებს, აუცილებლად ესაჭიროება გულის-ყური, დაკვირვება, დისციპლინა, წესიერება და სისწორე მოქმედებაში. გარდა ამისა საჭიროა სხვადასხვა ტექნიკური, პროფესიონალური ცოდნა. ისიც დავუმატოთ, რომ რამდენად განათლება მალა დგას, იმდენად შრომასაც უფრო მეტი ინტესიური ხასიათი ეძლევა. აი ზემოჩამოთვლილი თვისებები საჭიროა ბურჟუაზიისათვის, როგორც მრეწველობასა და ვაჭრობაში, ისე სამხედრო საქმეშიაც, რომელიც მისი არსებობის ერთ ძირითად ძარღვს შეადგენს. და აი ბურჟუაზია ქადაგებს საყოველთაო განათლების საჭიროებას, აარსებს სკოლებს, ავრცელებს წერა-კითხვის ცოდნას. შემოხვევითი კი არ ყოფილა ის მოვლენა, რომ პირველი საერო სკოლები დაარსდა ძველ განზის ქალაქებში. მეორე მხრით სკოლას ერთი ისეთი თვისება აქვს, რომელიც გაბატონებული კლასისათვის სრულიად არაა სასარგებლო. ცოდნა კაცში ბადებს ეჭვს, ის ყველაფერს კრიტიკის თვალით უყურებს, ავს იწუნებს, კარგს იწონებს, იმას ებადება წინსვლის სურვილი, ის არ კმაყოფილდება თანამედროვეთი საუკეთესო მერმისით ოცნებობს. ამასთან ცოდნა ადამიანში ანვითარებს თავმოყვარეობას, თავისა ადამიანურ ღირსების დაფასებას, შეგნებულ მოქმედებას. ასე რომ ნამდვილი ცოდნა საუკეთესო მეგობარია დემოკრატიის, გზის გამკაფველია მისი მერმი-

სისაკენ მსვლელობისათვის. და აი სწორედ ამიტომ გაბატონებული კლასი ცალი თვალით უყურებს სკოლას. მას სურს ერთის მხრით პრაქტიკული და ტექნიკური ცოდნა გაავრცელოს, შრომის ნაყოფიერება გაზარდოს, ადამიანის ხასიათს დისკიპლინა და შრომის უნარი განუვითაროს, მეორე მხრით ის ცდილობს დახშოს მაში ცოდნის მეორე მხარე— დამოუკიდებულობა და შეგნება და ჩაუნერგოს უკრიტიკოთ ავტორიტეტის მორჩილება. ამ გაორების პროცესშია დღევანდელი სკოლა. ამიტომაც ის შეიცავს თავის გულში ღრმა წინააღმდეგობას და არავითარ პედაგოგის ამ წინააღმდეგობის მოსპობა არ შეუძლია. სასკოლო კითხვა სოციალური კითხვაა და მისი სასურველად გადაწყვეტა მხოლოდ იმ ელემენტს შეუძლია, რომელიც საზოგადოდ შესცვლის დღევანდელ წყობილებას, და მხოლოდ მაშინ შესაძლოა ნორმალური სკოლის შექმნა, რომელიც დამყარებული იქნება ადამიანის პსიქოლოგიურ განვითარების კანონებზე. ამ ჩვენი აზრის დასასაბუთებლად მოვიყვანთ ბერლინის სახალხო განათლების საზოგადოების მდივნის მასწავლებელ ტევესის აზრს: „პრუსიაში განათლების საქმე წარმოუდგენელ ცუდ პირობებშია. შიგნით, სკოლებში ბატონობენ კლერიკალები, რომელნიც განსაზღვრენ სწავლების შინაარსს და ხასიათს, მასწავლებლის მიმართულებას და მომზადებას და სხვ, გარედან კი მიწათმფლობელები; ორივე დაინტერესებულია ან დათვლის თავის თავს დაინტერესებულად ხალხის განათლების არა განვითარებაში, არამედ მის შეფერ-

ხებაში“. აქედან ცხადია, თუ რა თვალთ შებედავს ეს ბატონობის კლასი იმ ერთა ენებს, რომელნიც დამორჩილებულ ელემენტს შეადგენენ. ენის დევნა აქ ჩვეულებრივი და ბუნებრივი შედეგია მთელი სისტემის და ვინც ამ სისტემის დამცველი და მომხრეა, ის ენის კითხვასაც ვერ გადაწყვეტს. მას წყვეტს სულ წინააღმდეგი ძალა. საგულისხმოა ამ მხრით პრუსიის ს.-დემოკრატიული პარტიის რეზოლუცია ამას წინედ მომხდარ კრებაზე მიღებული: „პარტიეტაგი გადაქრით პროტესტს აცხადებს პრუსიის მთავრობის მისწრაფებაზე, რომელიც გამოიხატება ეროვნების წხრივ შერეულ ადგილებში სახალხო სკოლების გერმანიზაციის იარაღად გადაქცევაში,—მისწრაფებისა, რომელიც ეწინააღმდეგება სახალხო განათლების, კივილიზაციის და სამართლიანობის მიზნებს“.

ამნაირად ჩვენ გამოვარკვიეთ, საითკენ უნდა იყოს მიმართული იმათი მოქმედება, ვისაც სურს სკოლის და აღზრდის ნორმალურ პირობებში ჩაყენება: ამასთანვე გამოვარკვიეთ, როგორია ეს ნორმალური მდგომარეობა ენის მხრივ. აღზრდის წესი და მეთოდი აუცილებლივ უნდა ეთანხმებოდეს გონებრივ განვითარების ბუნებრივ პროცესს. გონებრივი განვითარება კი მოითხოვს უცილობელ თანდათანობას, ამიტომ ბრეალის თქმის თანახმად, საჭიროა სკოლა მკვიდრ ნიადაგზე იყოს დამყარებული და არა ზევიდან წამოსკუპებული, და რამდენად სკოლა შეთანხმებული იქნება ადამიანის ბუნებრივ განვითარებასთან, რამდენად ის დაფუძნებული იქ-

ნება განვითარების კანონებზე, იმდენად მასში სამშობლო ენის ასპარეზი გაფართოვდება და უცხო ენის შესწავლა უფრო გვიან დაიწყება.

წინანდელ დროში ის აზრი იყო გავრცელებული, რომ რაკი ადამიანს ბავშვობაში მეხსიერება ძლიერი აქვს, ხოლო ენის შეთვისება უმავრესად მეხსიერების საქმეაო, ამიტომაც უცხო ენებიც ბავშვობისას უნდა შევათვისო. მაშინდელ დროში ამ აზრის არსებობას თავისის საფუძველი ჰქონდა. საზოგადო ცოდნა მცირე იყო და ამიტომ ნაკლებად ზიიპყრობდა ადამიანის ყურადღებას. დღეს კი გარემოება სრულიად შეიცვალა. ერთი მხრით ევოლუციონური თეორიის დამყარებამ, მეორეს მხრით საზოგადო ცოდნის გაფართოვებამ სხვა იდეალი დაუსახა ადამიანს. დღეს ჩვენ გვინდა, რომ ადამიანი იყოს ხასიათით მტკიცე, გონება მახვილი და საღი ცოდნით მდიდარი. ამის მიღწევა კი მხოლოდ მაშინაა შესაძლო, როცა სავსებით იქმნება დაცული აღზრდის თანდათანობა და ამავე დროს ბავშვი გონებრივად გამდიდრდება, — ერთის სიტყვითა როცა ინდივიდუალურ განვითარების კანონები და სოციალური მოთხოვნებიანი აღზრდაში შეთანხმებული იქმნებიან. ამავე აზრს გამოთქვამს გ. ზიმელი: „დაბალ კულტურის თვისებააო, — ამბობს იგი — აღზრდის შემეცნებას შეუერთოს დასჯის შემეცნება, რომლის მიზანია დაბეჩავება; პირიქით რამდენადაც მაღლა მიდის კულტურა, — იმდენად საგრძნობელი ხდება ის მისწრაფება, რომ პიროვნების ღონე არ დაასუსტონ, არ გააჩანაგონ,

არამედ ჩააყენონ ისეთ პირობებში, რა პირობებშიაც ეს ძალა სასარგებლო დანიშნულებას მიიღებსო“. და სწორედ კულტურული განვითარება სხვათა შორის პიროვნების ამაღლებას ნიშნავს, მის ინტერესების დაცვას, მისი გონებრივი მოთხოვნილებების დაფასებას, ამ დაფასებას კი აუცილებლად უნდა მოჰყვეს მშობლიური ენის ამაღლება, როგორც მისი სალი განვითარების აუცილებელ საშუალებას. ხომ საზოგადო ბუნების კანონია, რომ ყოველი ძალა მისი წარმოშობის ნაკლებ წინააღმდეგობის გზით. ხოლო სამშობლო ენის გზა სწორედ განვითარების უადვილესი გზაა. ამიტომაც ადამიანის გამორკვევის ხანა სრულად სამშობლო ენაზე განვითარებას უნდა მოხმარდეს. ეს აზრი უკვე რამდენიმე საუკუნის წინ გამოთქვა დიდებულმა მორაველმა პედაგოგმა ამოს კომენელმა: „რადგან დედა ენის ფარგალშია ის საგნები, რომელთაც თანდათან ეცნობა გონება, ამიტომ დედა ენის შესწავლა აუცილებლად მოითხოვს ბევრ წელიწადს, სახელდობრ ბავშვობის მთელ ხანას და სიყრმის ნაწილს (დაახლოვებით 15—16 წლ.) შემდეგ შეგვიძლია გადავიდეთ სხვა რომელიმე ცოცხალ ენაზე... უცხო ენის სწავლება, სანამ ბავშვს არ შეუთვისებია დედა ენა—ეს იგივეა, რომ ბავშვს ვაიძულოთ ცხენით ჯირითობა ფეხის ადგომის უმაღლ“.

ზემო ნათქვამი ჩვენ სრულ საფუძველს გვაძლევს დავასკვნათ, რომ გამორკვევის ხანის სკოლა, ესე იგი ხუთმეტ-თევქსმეტ წლამდე, უნდა იყოს

დედა ენის სკოლა და არავითარ სხვა ენას აქ ადგილი არ უნდა ქონდეს.

ამნაირად დაწყებით სკოლაში მხოლოდ სამშობლო ენას უნდა ქონდეს ადგილი. მაგრამ სკოლაში სწავლება არ განისაზღვრება მარტო დაწყებითი სკოლით. მას თან მოსდევს საშუალო სკოლა და შემდეგ უმაღლესი სასწავლებელი. თანამედროვე კულტურული პირობები მოითხოვენ, რომ ამ სკოლებში არა მარტო სამშობლო, უცხო ენებიც ვისწავლოთ. მაგრამ აქაც არ უნდა დავივიწყოთ პედაგოგიური კანონები. დედაენაზე ცოდნის შეძენის სიადვილე, მისი ღრმა ფსიხოლოგიური მნიშვნელობა აქაც სრულ ძალაში რჩება. საღი განვითარება მოითხოვს აქაც სწავლების საფუძველი იყოს მხოლოდ სამშობლო ენა. ამასვე მოითხოვს მთელი ერის კულტურული ინტერესი. საშუალო და მასთან უმაღლეს სკოლაში უცხო ენის გამეფებას მოჰყვება ხალხის ერთი ნაწილის გადაგვარება. ის ნაწილი ხალხისა, რომელსაც შეძლება მიეცა დიდი ხნით სწავლას დაეწაფოს, ცოდნას იძენს, გონებრივად ვარჯიშობს და იწრთვნება ხალხისთვის უცხო ენაზე. ამით ის ხალხს გამოეთიშა, ჩამოშორდა. უცხო ენაზე აღზრდილს არ შეუძლია ხალხს მიაწოდოს თავისი ცოდნა, რადგან ეს ცოდნა მას სამშობლო ენაზე არ მიუღია. ამით ხალხის კულტურული განვითარება ფერხდება, ხალხის გონებრივი ძალა სუსტდება. ამ მოსაზრების დასამტკიცებლად შორს წასვლა არ დაგვჭირდება. შეხედეთ ჩვენს ეგრედ წოდებულს „ნასწავლ“ ხალხს. განა

ამ ჩვენ „ნასწავლებს“ აქვთ სამშობლო ენა? ისინი ხომ სულ ხალხს გარეშე არიან. ზოგი მათგანი კი, რომელთაც სურვილი აქვთ ხალხს ემსახურონ და თავისი ცოდნა გაუზიარონ, გაჭირვებულ მდგომარეობაში არიან. მათ უჭირთ, ვერ მოუხერხებიან ხალხს ემსახურონ და თავისი ცოდნა გაუზიარონ დიდი შრომა სჭირდებათ, რომ თვისი აზრები სამშობლო ენაზე გამოთქვან, და რომ ასეთი მომაკვდინებელი გარემოება მოისპოს, საჭიროა ხალხს თავის სკოლა ქონდეს. საჭიროა არა მარტო დაწყებით სკოლაში გამეფებული იყოს სამშობლო ენა, არამედ საშუალო და უმაღლეს სასწავლებელშიც. ხალხის ყოველი წევრი მთელ თავის გონებრივ ცოდნას ეროვნულ ენაზე უნდა იღებდეს. მხოლოდ მაშინ შესაძლოა ხალხის გონებრივი განვითარება ნორმალურ კალაპოტში ჩაედგეს.

ე ნ ა ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ა შ ა .

ენა და აზრი ადამიანის წარმოდგენაში განუყოფელია. მაშ რა პირობებიც ხელს უწყობენ აზრის განვითარებას, მის გაუურჩქენას და ზრდას, იგივე პირობები ანვითარებენ ენასაც. აქედან ჩანს, რომ ენის განვითარება მჭიდროდ შეკავშირებულია საზოგადო უფლებრივ წყობილებასთან. დღეს ყველასათვის ცხადია და ცოტაოდენ წესიერ ქვეყნებში აუცილებელ პირობათ მიჩნეულია სიტყვის თავისუფლება, პრესის თავისუფლება. ეს არის ერთი მუხლთაგანი პირადი თავისუფლებისა. ყოველ ადა-

მიანს უფლება უნდა ქონდეს თავისუფლად გამოთქვას თავისი აზრი სიტყვიერად თუ წერილობით. ესაა საზოგადოებრივ განვითარების ელემენტარული მოთხოვნა. სადაც ლიტერატურა შევიწროებულია, სადაც მას ბოროტი ადევს, სადაც არაა კრების თავისუფლება, იქ აზრთა თავისუფალი ზრდა, მათი ვაცვლა-გამოცვლა და მუდმივი ჭიდილი შეუძლებელია. პირ-იქით, სადაც პრესა თავისუფალია, იქ აზრი აზრს ხვდება, გულახდილი ბრძოლა იმართება, ყოველი მებრძოლი თავის გონებრივი ძალის მთელი გამოჰეტყველებით სარგებლობს. ამიტომ აზრები არ იმალება, არ იმარხება გულის კუნჭულში, ბრძოლის თავისუფალ ასპარეზზე. გამოდის პრესის თავისუფლება დღევანდელ კულტურულ ქვეყნებში ისეთივე აუცილებელი მოთხოვნაა, როგორც ჰაერი. უაჩიხოდ აქაურ მოქალაქეს არსებობა და მოქალაქებრივ მოვალეობის აღსრულება წარმოუდგენელი აქვს. ხოლო ეს თავისუფლება აუცილებელი იწვევს საბრძოლველ იარაღის განვითარებას და გამახვილებასაც. ამნაირათ ლიტერატურის და მასთან ერთად მწერლობითი ენის განვითარება მოითხოვს აუცილებელი პრესის სრულ თავისუფლებას, ყოველივე შევიწროების და რეგლამენტაციის მოსპობას...

ერის კულტურულ განვითარებაში, მის გაერთიანების პროცესში ლიტერატურას მეტად თვალსაჩინო ადგილი უჭირავს. ხალხში ენის ერთიანობას იცავს ზეპირი ლაპარაკის საშუალება. მაგრამ ეს საშუალება არის ბუნებრივი, ასე ვთქვათ, შეუ-

გნებელი. და აი კულტურა გაძლიერდა და ბუნებრივ და შეუგნებულ იარაღის მაგიერ ჩნდება გაერთიანების შეგნებული საშვალეობა—ლიტერატურა. ლიტერატურა არის უებარი იარაღი ხალხის ენის გაერთიანებისა და შემუშავებისათვის. ამიტომაც ენის განვითარებაში ლიტერატურა თანდათან ბატონდება. ყოველი ახალი ნაბიჯი ენის განვითარებაში, ყოველი მისი ახალი შენაძენი ლიტერატურის შემწეობით აღწევს მკითხველ საზოგადოებამდის და აღიბეჭდება მის მეხსიერებაში. ლიტერატურული ენა, როგორც უფრო უნაკლო და შემუშავებული, ხდება მთელ ერის საერთო ენად. რამდენადაც აწუნდა განსხვავდებოდნენ ენის კილოები და გამოთქმა, მაინც ლიტერატურული ენა ყველასათვის საერთო ენად იქცევა და ამა თუ იმ ერის ტერიტორიაზე მისი გამეფება აუცილებელი ხდება. ლიტერატურულ ენის შემწეობით ხალხის ყველა წრეებში შედის ახალი აზრები, ახალ და გაუმჯობესებულ გამოთქმით, სახით. ამნაირად ლიტერატურაში გამოიხატება ხალხის კულტურული ცხოვრების უმაღლესი, შემოქმედებითი ძალა, მისი გონებრივი აღმაფრენის და სიმწიფის შედეგები. ლიტერატურა აბაშს ერთიანობის ქსელს ერის წევრებში, იგი გაერთიანების უძლიერეს იარაღად ხდება. ამიტომაც ლიტერატურის ბედი, მისი განვითარების პირობები ძირითად კითხვას შეადგენს ჩვენთვის, განსაკუთრებით დღევანდელ პირობებში, რადგან ჩვენთვის, განსაკუთრებით დღევანდელ პირობებში,

რადგან ჯერ-ჯერობით იგი ერთათ-ერთი ფართო ასპარეზია საზოგადოებრივი აზრის გამოსახატველად. როგორ წარმოხდება სალიტერატურო ენა? მე მგონია, არ მოიპოვება ქვეყანაზე არც ერთი ისეთი ენა, რომელსაც არ ქონდეს კილოები, ადგილობრივი გამოთქმა. წინანდელ დროში ფიქრობდნენ ადგილობრივი კილოები სალი ენის გადამახინჯებააო. დღევანდელ მეცნიერების თვალით, ეს აზრი ყოველ საფუძველს მოკლებულია. ყოველ კილოს თავისი თავისებურობის შექმნაში საკმარისი საფუძველი ქონდა და ეს თავისებურობა ემორჩილებოდა საზოგადო განვითარების პროცესს. მაშ კილოების შექმნა გადამახინჯება კი არაა, ეს ერთნაირი ზრდის პროცესია. ეროვნული თვითცნობიერება დიდი ხნის საქმე არაა. ოჯახები, გვარეულობანი, თემები უმალ არსებობდნენ, ვიდრე ერი. ადგილობრივი კილოებიც წინ მიუძღვიან ეროვნულ ენის შექმნას. ასე რომ ეროვნული ენა მათთან შედარებით განვითარების უმაღლესი საფეხურია. ვთქვათ, რომელიმე ერის ტერიტორიაზე ერთმა კუთხემ შეიძინა პოლიტიკური უპირატესობა, ამ უპირატესობას უნებლიედ მოყვება ამ კუთხის კილოს უპირატესობაც. ამნაირად ერთი რომელიმე კილო ხდება ეროვნულ ენის საფუძველად. მაგალითად, საფრანგეთში საშუალო საუკუნოებში კაპეტინგების დინასტიამ თავის სატახტო ქალაქად აირჩია პარიზი, და აი სწორედ პარიზის ოლქის, ილდეფრანსის კილო სალიტერატურო ენად შეიქმნა. ჩვენში სალიტერატურო ენის

სარჩულად უნდა ჩავთვალოთ ქართლული კილო. აქედან ჩვენ ნათლად ვხედავთ, რომ სალიტერატურო ენის გარეშე დარჩენილი კილოები გადამახინჯებულ რამეს კი არ წარმოადგენენ, ისინი არიან ღვიძლი ძმები თავისი უფროსი ძმის, — სალიტერატურო ენისა.

ასეთი შეხედულება სხვათა შორის შეძლებას გვაძლევს გამოვარკვიოთ, თუ რა დამოკიდებულება უნდა ექიროს სალიტერატურო ენას კილოებთან. მართალია, ლიტერატურულ ენას სარჩულად დაედვა ერთი რომელიმე კილო, მაგრამ ეს სრულიად არ ნიშნავს, რომ ამ კილოში მომწყვდეული იყოს ყველა ის სალიტერატურული ენისა, რომელიც ერს თავის განვითარებაში შეუძენია. პირიქით, ყოველ კილოში მოიძებნება ძვირფასი მარგალიტები და თუ ეროვნულ ენას სურს იდგეს თავისი დანიშნულების სიმალლეზე, საჭიროა, ეს ელემენტები შემოკრიბოს და შეითვისოს, ის უნდა გახდეს ყველა კილოების სინტეზი. ამას მოითხოვს როგორც ეროვნული ენის სიმდიდრის საჭიროება, ისე ეროვნული გაერთიანების ინტერესიც.

წინანდელ დროში ცხოვრება ისე იყო მოწყობილი, რომ ყოველი კუთხე კარჩაკეტილად არსებობდა. კუთხეების ურთიერთი კულტურული გავლენა სუსტი იყო. ეს აზრი ცხადად მტკიცდება ჩვენ სამშობლოზე. ისეთ შედარებით მცირე ტერიტორიაზე, როგორიც ჩვენ ხალხს უჭირავს, შესაძლო გახდა რამდენიმე კილოს გაჩენა. ფეოდალური ხანა ქვეყნის დაქუცმაცების ხანაა. მან, როგორც

ყოველგან საზოგადოდ, ჩვენი სამშობლო დაანაწი-
ლა მცირედ ოლქებად და ქვეყნის ნაწილებში თით-
ქმის სულ მოსპო პოლიტიკური ერთობის გრძნობა.
ეს ფეოდალობა ჩვენში უკიდურესობამდე მივიდა,
ბოლოს დაეცა. მარა ეს დაცემა იყო არა შინაგანი
განვითარების შედეგი. ფეოდალობა ჩვენში დაეცა
არა შინაგანი ბრძოლის გამო. მის დაცემას თან
მოჰყვა ჩვენი დამოუკიდებლად არსებობის მოსპო-
ბაც. ამნაირად ფეოდალური ხანა დაეცა და ამით
გაჩნდა ჩვენში გაერთიანების მკვიდრი ნიადაგი.
კულტურული გაერთიანება, საერთო ეროვნული
იდეალის დამკვიდრება შეიქმნა ჩვენი ცხოვრების
აუცილებელ მოთხოვნილებად. და ამ გაერთიანების
საქმეში ერთი უპირველესი ადგილი ეკუთვნის ლი-
ტერატურას. მისი გაძლიერება ნიშნავს ეროვნული
ერთობის გაძლიერებას. ლიტერატურის გაჩენიდან
ენებში ჩვენ ვამჩნევთ შემდეგ ევოლუციას. რამ-
დენად ლიტერატურული ენა ძლიერდება, იმდენად
ადგილობრივი კილოები სუსტდებიან და გაქრობას
უახლოვდებიან. ხოლო ეს დასუსტება რაიმე ძალ-
დატანების შედეგი როდია, ეს უბრალო ბუნებრი-
ვი ასიმილიაციის პროცესია. ლიტერატურული ენა
შემოიკრებს დიალექტების ღირსებებს, მათ კეთილ-
ნაყოფს, ამით უახლოვდება მათ, ამ შეთვისებას
კი თან მოსდევს დიალექტების დასუსტება და მათი
განძით სალიტერატურო ენის განვითარება. ეს აუ-
ცილებელი პროცესია. აქ ლიტერატურული ენა
მოგვაგონებს დიდ მდინარეს, რომელიც თავის მიმ-
დინარეობაში თანდათან შეიკრებს ყოველ მხრიდან

წყლებს და ამით უფრო და უფრო იზრდება, დია-
ლექტები აქ მდინარის მასაზრდოებელი შტოებია.
გარდა ამისა ლიტერატურული ენა, როგორც ცოც-
ხალი ორგანიზმი, საჭიროებს მუდმივ კვებას, გამა-
ცოცხლებულ ნექტარს, დაუშრეტელ წყაროს და
ასეთი ნექტარი მხოლოდ ხალხის ცოცხალი ენაა.
ენა არაა დასრულებული რამ ფაქტი. ენა მოქმე-
დება, მუდმივ განვითარების პროცესია. და თუ ის
აღარ ვითარდება, აღარ უთმობს შეცვლის საჭი-
როებას, მაშინ საშიშ მდგომარეობაში ვარდება.
არსენ დარმესტეტერი ამბობს: „თუ ცრუ ტრადი-
ციის პატივისცემა ენას ხელს უშლის აზრის მსვლე-
ლობას თან მიჰყვებს და თუ ხალხის აზროვნებაში
და ამ აზროვნების გამომხატველ ფორმის ჩნდე-
ბა წინააღმდეგობა, მაშინ ენა უძლური ხდება და
კვდება. ამის შესანიშნავ მაგალითს ვხედავთ კლასი-
კურ ლათინურში, იმ ლათინურში, რომელიც
იყო მწერლების და რომის უმაღლესი საზოგადოების
ენა; ეს ხელოვნური ენა არ მიჰყვებოდა თან ხალ-
ხის ლათინურს მის თავისუფალ განვითარებაში;
პირიქით ფორმა გააღმერთა, მიიღო გარკვეული,
კრისტალიური სახე და რომის იმპერიის დასასრულს
მოკვდა, რადგან სასიცოცხლო ძალა გამოე-
ცალა, გამოფიტდა. მისი ადგილი კი დაიჭირა
ხალხურმა კილომ, რომელშიაც იმდენი სიძლიე-
რე იყო, რომ მან წარმოშობა მრავალრიცხო-
ვანი ენათა ოჯახი“. ამნაირად ლიტერატურული
ენა საფუძვლიანად უნდა იყოს დამყარებული სა-
ხალხო ენაზე და მუდმივ ეძებდეს მასში, როგორც

ფორმით ისე შინაარსით თავისი ზრდის აუცილებელ მასალას. ამ გზით ის შეიძენს ნამდვილ ცხოველ-მყოფელობას, ნამდვილ ძალას. ერთის სიტყვით, რიხტერის თქმისა არ იყოს, „მხოლოდ მაშინ, როცა ზევით ამოვა სახალხო კილოების სიმდიდრე, მხოლოდ მაშინ ჩვენ წინ იქნება ერი, რასაკვირველია, თივისი უმაღლესი და უკეთესი აზრით“. მაშ თუ ჩვენ პირნათლად და შევანებით ვემსახურებით ჩვენ კულტურულ გაერთიანებას, კილოების შესუსტება და მათი განძით ლიტერატურული ენის გაძლიერება, როგორც გაერთიანებისადმი მისწრაფების აუცილებელი შედეგი, ჩვენთვის ერთ ძირითად საკითხს უნდა შეადგენდეს. განსაკუთრებულ ყურადღების ღირსია ეს საკითხი დღევანდელ მდგომარეობაში. ქართველობის მტერი, თავისუფალი განვითარების მტერი მკვიდრად ადგას ძველი ანდაზის გზას: გაჰყავი და სძლიეო. ის სცდილობს ჩვენი სამშობლოს სხვადასხვა კუთხეებში განკერძოების მიმდინარეობა შეჰქმნას. საჭიროა ერთხელ და სამუდამოდ მოისპოს ასეთი სურვილის გაჩენაც, საჭიროა აილაგმოს გამთიშველი ძალები. კილოების საერთო ენასთან დაახლოვების მხრივ მეტად საყურადღებოა ჩვენ ლიტერატურაში მოღვაწეობა სხვადასხვა კუთხის წარმომადგენლებისა. ისინი, რასაკვირველია, ლიტერატურულ ენაზე სწერენ, მარა უნებლიეთ შემოაქვთ თავისი კილოების სალი ელემენტები საერო ენის სალაროში. გარდა ამისა დიდ და აუცილებელ განძად ჩაითვლება ადგილობრივი სიტყვების ლექსიკონები. მე დარწმუნებული ვარ,

ასეთი შრომის სისრულეში მოყვანას რომ შეესძლებ-
დეთ, ჩვენი ენა დიდძალ სიმდიდრეს შეიძენს.

აქ ორიოდ სიტყვა ენის ფორმაზედაც. რადგან
ენა შეუწყვეტელი შემოქმედებითი პროცესია, ამი-
ტომ მისი გარეგანი სახე, მისი ფორმებიც მუდმივ
ცვლაშია, მუდმივ გაუმჯობესებაშია. ენის განვი-
თარების სხვადასხვა პერიოდებში ეს ფორმები იმ-
დენად საგრძნობელად განსხვავდებიან ერთმანეთი-
საგან, რომ ძველი ფორმები ხშირად მარტო სპე-
ციალისტებს ესმით. ახალი მოთხოვნებიანი, ახა-
ლი აზრები ქმნიან ახალ სიტყვებს, ახალ ფორმებს
და სიტყვათა ურთიერთ განწყობილებას. მაშ აქაც
განვითარება და წინსვლა აუცილებელი პროცესია.
როგორც დაკვირვება გვიჩვენებს, ამ განვითარებაში
სიტყვები თანდათან კარგავენ თავის რეალურ მნი-
შვნელობას და იქცევიან მხოლოდ განსაზღვრულ
ნიშნებად, ალგებრაულ ნიშნებსავით. თანდა-
თან ისპობა სიტყვების ეტიმოლოგიური სხვადა-
სხვაობა, სიტყვებს ეძლევა უფრო სადა ფორმები,
ენა შინაგან სიმდიდრის გაძლიერებასთან ერთად
გარეგანი სახით მარტივდება. ძლიერდება სინტაქ-
სის მნიშვნელობა, სიტყვებს აზრი ეძლევა მათი
წინადადებაში დალაგების მიხედვით. ტაილორი ამ-
ბობს: „ინგლისურმა ენამ უკვე იმდენად დაკარგა
სიტყვების შეცვლის ძველებური ხერხი, რომ თი-
თქმის მოსპო სიტყვის ნაწილთა შორის განსხვავება
ჩინურ ენის მჭგავსად. ის ხმარობს ამა თუ იმ სი-
ტყვას ხან როგორც არსებით სახელს, ხან როგორც
ზედშესრულს, ხან როგორც ზმნას“. ჩვენი ენაც

მუშაობს. გასაღების გზაზე. ლიტერატორები ვალდებული არიან მიაქციონ ჯეროვანი ყურადღება ამ პროცესს და ჯიუტობა არ გამოიჩინონ, მწიგნობრობის ენის ფორმები არ გააშეშონ, თორემ ლიტერატურა თავისი ფორმით ხალხის ენას ჩამოშორდება და ამას მხოლოდ მისი გავლენის შესუსტება მოჰყვება.

ახლა შევეხოთ ჩვენი ლიტერატურის მეორე ძირითად კითხვას. ვუნდტი ამბობს: „როგორც სიტყვათა რიცხვი ენაში მაჩვენებელია ხალხში არსებულ წარმოდგენათა რაოდენობის, ისე იმ სიტყვათა რაოდენობა, რომლითაც კმაყოფილდება პიროვნება, არის უტყუარი მაჩვენებელი იმ ადვილ მოძრავ წარმოდგენათა რაოდენობისა, რომელიც პიროვნების განკარგულებაშია ყოველ წუთს“. როგორაა ამ მხრივ ჩვენი ენის მდგომარეობა? მართალია, უბრალო ხალხის ენა საკმაოდ მდიდარია, მაგრამ რადგან ენის სიმდიდრე გონებრივ განვითარებაზეა დამოკიდებული, ხოლო ხალხი ამ მხრივ ცუდ პირობებშია ჩაყენებული, ამიტომ შეუძლებელია ეროვნულ ენის ლექსიკონი სავსებით უბრალო ხალხში მოიპოვებოდეს. თანამედროვე ცხოვრების ერთი ძირითადი თვისებათაგანია შრომის დაყოფა. თავისთავად ეს შრომის დანაწილება ნორმალურ პირობებში არ იქნებოდა უმრავლესობისათვის ისე სასტიკი, როგორც დღესაა. მაგრამ უბედურებაა ისაა, რომ უმრავლესობა შეუწყვეტელ ფიზიკურ შრომას ეტანება, და ამ მუდმივ ჭაპან-წყვეტაში ლუკმა პურის მოპოებისათვის მოკლებულია ყოველ

საშუალებას გონების გასაფითარებლად. ეს უკანასკნელი ბევრ სხვა კულტურულ სიკეთესთან ერთად შექმნილა შეძლებულთა მონაპოვად. კაცობრიობის ინტერესი მოითხოვს ეს მონაპოვოლია ძირიანად მოითხაროს და ცოდნა ყველასათვის ხელმისაწვდენი შეიქმნეს, ყველა სტუბებოდეს მისი სიმდიდრით, ყველა ჰპოვებდეს მასში გამამხნეველ, გამაღონიერებელ ნექტარს, და ეს ცოდნის, ასე ვთქვათ, გადემოკრატება უნებლიედ გააძლიერებს უმრავლესობის ენასაც. დღეს უბრალო ხალხის ლექსიკონი მეტად განსაზღვრულია. დ'ორსეის დაკვირვებით, ჩვეულებრივი მიწის მუშის ლექსიკონში არის არა უმეტეს 300 სიტყვისა. რასაკვირველია, ასეთ მცირედ ლექსიკონით ენა ვერ დაკმაყოფილდება. შრომის გაყოფის ძალით ყოველ საზოგადოებაში მოიპოვება ერთი ნაწილი, რომელიც თავისი პროფესიით იძულებულია მუდმივ გონებრივ შრომას ეწიოს. რასაკვირველია, ასეთი ელემენტი გონებრივი მუშაობის გამომხატველს საშუალებას, ენას, საგრძნობელად ამდიდრებს. ჩვენშიაც არის ეგრედ წოდებული ნასწავლი ხალხი, რომელიც კარგად თუ ცუდად ითვისებს თანამედროვე ცოდნას. მაგრამ აქ იგი იჩენს ორთავიანობას. თუ მდაბიო ლაპარაკი მშობლიო ენაზე ეხერხება, სამაგიეროდ როცა სამეცნიერო და საზოგადოებრივ საგანზე გადადის, მაშინვე სხვა ენას მიმართავს. ამნაირად ამ „განათლებულის“ გონებრივი სალარო ორ საკუქნაოს შეიცავს: ერთს საშინაოს — მშობლიურს, მეორეს საგარეოს — უცხოს. მერე ვისი ბრალია ეს, — ენის ძირითადი ნაკლია, თუ სხვათა-

შორის ამ ნასწავლი ხალხის სიძაბუნეა? ამაზე მშვენივრად გვიპასუხებს ამოს კომენელი: „არც ერთ ენაში არ იქნება სიტყვების ნაკლულობა, ადამიანებში რომ არ იყოს შრომის მოყვარეობის და გულმოდგინეობის სისუსტე“. ეს სიტყვები საღი აღზრდის მოციქულმა მაშინ დაწერა, როცა ის იყო ევროპის ლიტერატურამ დაიწყო ლათინურ კასტიურ ენისაგან განთავისუფლება და თანდათან ეროვნულ ენას მიმართა. ამავე კითხვას ეხება ერთი პუბლიცისტი 1832 წლ. ქართულ გაზეთის „ტფილისის უწყებანის“ პირველ ნომერში. აქ არის დაბეჭდილი ერთი წერილი შემდეგის სათაურით: „მოკლე განხილვა ქართულის ლიტერატურისა“, რომელშიაც ავტორი სწერს: „აწინდელთა მწერალთა უცოდინართა ქართულისა ენისათა შემოიღეს ხმარება ლექსთა: სპარსულთა, სომხურთა და რუსულთა, გარნა ამით არავის ძალუძს დამტკიცება, რომელ არ იყოს ქართულსა ენასა ზედა თანასწორ მნიშვნელნი ლექსნი. კარგმან მწერალმან რომლისა საგნისა აღწერა უნდა მოინდომოს, რომელ ფრაზასა ზედაც უნდა იყოს, მას ძალუძს ბუნებითსა ენასა ზედა გამოღება და წარმოდგენა თვით უუმცირესისა აზრისა და გრძნობისა. იგი არ იხმარებს არა რომელთა ლექსთა სხვისა ერისათა, გარდა მათსა, რომელთაც მიუღია კანონი მოქალაქობისა და რომელნიც იხმარებიან ყოველსა ენასა ზედა, ესე იგი ტეხნიკებრთა“.

ამ წერილში გამოთქმულია სრული ჭეშმარიტება არამც თუ დღევანდელ დღის შესახებ, იმ დროს შესახებაც. და რომ ეს ასეა, ამას გვიმტკი-

ცებს ქართულ ენაზე არსებობა ისეთი სახელმძღვანელოებისა და სამეცნიერო წიგნებისა, როგორცაა, მ. ყიფიანის „გეომეტრია“, ვ. ყიფიანის „ალგებრა“, როსკოს „ქიმიის“ თარგმანი, ამ ბოლოს დროს გამოცემული სოციალურ შინაარსის წიგნები. განსაკუთრებით შეგვიძლია აღვნიშნოთ პროფ. ვ. პეტრიაშვილის თხზულებანი: „ღვინის დაყენება“ და „რძე ჭ მისი მნიშვნელობა“. ამ წიგნებში თქვენ პოულობთ მეცნიერულ სიმტკიცესა და სიმარტივესთან ერთად ენის განსაცვიფრებელ მკაფიობას ჭსიადვილეს: სურვილი და გარჯაა საჭირო, ენა კი არაფერ შუაშია. მიუხედავად ამისა ჩვენში ხშირად გაიგონება ასეთ აზრს: „რა საჭიროა სერიოზული მეცნიერული წიგნი ჩვენ ენაზე? ასეთ წიგნს ჩვენ სხვა ენაზედაც წავიკითხავთ, ხალხი კი მას ვერ შეწვდებოა“. სწორედ რომ მეტად მავენე და გამათახსირებელი აზრია. და თუ ჩვენ მაინცა და მაინც არ გვადღელებს ასეთი უხვირო აზრის არსებობა ჩვენში, მხოლოდ იმიტომ, რომ, ერთი ჩვენი პუბლიცისტის სიტყვას თუ ვიხმართ, ეს რძე—ნაწყენთა აზრია. ნამდვილი ხალხის შვილი, მისი ინტერესების მოტრფილე, მისი მისწრაფებით მცხოვრები თავის დღეში ასეთ აზრს არ გამოსთქვამს. ჯერ ერთი, განა შესაძლოა „ხალხს“ მიაწოდოთ ცოდნა მის მშობლიურ ენაზე, თუ თქვენ გიჭირთ ამ ცოდნის გამოთქმა ამავე ენაზე? მეორე მხრით, ასე კითხვის დაყენება საერთო კულტურულ მისწრაფების აბუჩად აგდებაა, მისი ინტერესების უარყოფაა. დღეს ენა უმეცნიეროდ არაფერია. მეცნიერულ ენის თვისებაა სიმარტივე,

სიმოკლე და მკათობა გამოთქმაში და ამასთანავე ლოლიკური სიღრმე. თუ ეს თვისებები ენას არ აქვს, იგი დასუსტდება, მისი სრული ზრდა შეჩერდება. და არაფერი არაა ისე საფრთხილო ენის არსებობისათვის, როგორც ასეთი გაშეშება, აზროვნობის ჩამორჩენა. თუ თქვენ სამშობლო ენის შემწვობით ვერ გამოთქვამთ ყოველ თქვენ აზრს, მაშინ ხომ ენას დაეკარგა თავისი ძალა. ამიტომაც ჩვენი უახლოვესი იდეალი უნდა იყოს—მოვსპოთ. ორთავიანობა, ისეთი პირობები შევქნათ, რომ ერის ყოველ წევრს შეეძლოს ყოველი თავისი აზრის ამ ერის ენაზე გამოთქმა, ყოველი პიროვნების ცოდნა მის ეროვნულ ენის ფარგალში უნდა ეტეოდეს. ამისათვის, სხვათა შორის, აუკილებლად საჭიროა მეცნიერების ყოველ დარგიდან გვექონდეს ძირითადი თხზულებანი მაინც. საზოგადოდ უნდა იბეჭდებოდეს, რაც შეიძლება, მეტი მეცნიერული წიგნები. რა ვუყოთ, რომ პირველად ბევრი მკითხველი არ გვეყოლება. თუ არ ვცდით, თუ წინ არ წავიწვეთ, ყოველთვის ამ მდგომარეობაში ვიქნებით. მეცნიერულად ენის გამდიდრება კი ხალხს შესძენს ცოდნას და მასთან ერთად ნასწავლთა გონებრივ გაორებასაც მათ უღლებს ბოლოს. მაშ ლიტერატურის გაძლიერება მეცნიერულ და საზოგადოებრივ ცოდნით და ამ მხრივ ენის ლოლიკურ ძალის განვითარება—აი მეორე ძირითადი მოთხოვნა ილება.

დასასრულ ორიოდ სიტყვით გამოვთქვათ ჩვენი შეხედულება ენის შესახებ. ჩვენი მიზანი იყო

შეძლების ღ გვარად გამოგვერკვია ენის განვითარების პროცესი. ჩვენ დავინახეთ, რომ ენა წარმოადგენს ხანგრძლივი კოლექტიური მუშაობის შედეგს. ის იმდენად ღრმად ჩაქსულა ადამიანის გონებრივ არსებაში, რომ დღეს ჩვენი აზრი და ენა ერთმანეთისაგან განუყოფელად მიგვაჩნია. ამასთანავე დავინახეთ, რომ ისტორიულმა პირობებმა ბუნებრივ აუცილებლობის ხასიათით გამოიწვიეს სხვადასხვა ენების გაჩენა. ამ ენების არსებობა მჭიდროდ შეკავშირებულია ხალხების განვითარებასთან, მთელ მათ კულტურულ მსვლელობასთან. აქედან რამდენად ხალხის კულტურული განვითარება წინ მიდის, იმდენად მისთვის სამშობლო ენის მნიშვნელობა იზრდება, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ერში ლიტერატურა გავლენას მოიპოვებს. პსიხოლოგიური და სოციალური ცხოვრების დაკვირვება ნათლად გვიჩვენებს, რომ შეუძლებელია ნორმალური განვითარება, როგორც ინდივიდუუმისა, ისე მთელი ერისა დედა ენის გარეშე. აქედან ცხადია, ყოველი ერისთვის აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს, რომ მას შეეძლოს თავის დედა ენაზე თავისუფლად განვითარება. მარა ეს საანბანო კულტურული პრინციპი თანამედროვე წყობილებაში ბრძოლის საგნად არის გადაქცეული. ყოველ სახელმწიფოში გაბატონებულ ხალხის ბურჟუაზიული მთავრობა სდევნის დამორჩილებულ ხალხს და ყოველი გზით ცდილობს სხვათა შორის მის ენას დაუხშოს გზა, შეაფიწროვოს, დააძაბუნოს და მოსპოს. აქედან იბადება ნაციონალური ბრძოლა,

რომელიც გამოიხატება ერთი ერისაგან მეორე ერზე ძალმომრეობაში. დაჩაგრულ ერისთვის ეს ნიშნავს სხვათა შორის მისი სულიერი განვითარების შეფერხებას, რასაკვირველია, შესაფერ პოლიტიკურ და მოქალაქეობრივ უუფლებობასთან ერთად. ნაციონალური ბრძოლა არაა მიმართული დაბეჩავებული ერის ერთი რომელიმე კლასის წინააღმდეგ. მისი მოქმედება ერის სულ ყველა კლასებზე გადადის. მაგრამ განსაკუთრებული ძალა აქვს პროლეტარიატის წინააღმდეგ. ამ ელემენტისთვის, როგორც საუკეთესო მომავალის, საზოგადოების გარდამქმნელ კლასისთვის, საღ კულტურულ განვითარებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ეძლევა. ამასთან თუმცა პროლეტარიატის სოციალური მნიშვნელობა დღითიდღე იზრდება, მარა თანამედროვე წყობილებაში იგი სოციალურადაც და პოლიტიკურადაც დაჩაგრულია. ეს გარემოება უფრო საგრძნობელად ხდის მისთვის კულტურული ზრდის შეფერხებას. ამიტომ პროლეტარიატს არ შეუძლია გულ-გრილად უყუროს მის კულტურულ განვითარების საწინააღმდეგო მოქმედებას. ის აუცილებლად ვალდებულია ნაციონალურ ბრძოლაში ჩაერიოს და ნაციონალურ ბატონობის მაგიერ ნაციონალური თავისუფლება განახორციელოს. პროლეტარიატის განმათავისუფლებელ მსვლელობის მიზანია მოსპოს არა მარტო ერთი კლასის მიერ მეორეს დაჩაგვრა, ერთი ერის მიერ მეორეზე ბატონობაც, და ამ ბატონობის მოსპობა ნიშნავს ეროვნულ განთავისუფლებას, ყოველი ერის თავისუფალ კულ-

ტურულ განვითარებას. კარლ კაუცკი ამბობს: „ეროვნული დამოუკიდებლობა იმდენადვე აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს პროლეტარიატის ნორმალურ და ყოველ-მხრივ განვითარებისათვის, როგორც საყოველთაო საარჩევნო უფლება, ბექედის და სიტყვის თავისუფლება“. ამნაირად პროლეტარიატის, როგორც ერის ერთი ნაწილის, კულტურული ინტერესი მოითხოვს მოისპოს ყოველივე შევიწროება მიმართული დაჩაგრულ ერისადმი. მარა ეს ცოტაა. ავიღოთ, ვთქვათ, განათლების საქმე. ყოველ ცოტაოდნად დემოკრატიულ საზოგადოების პრინციპია—უფასო, საყოველთაო, სავალდებულო დაწყებითი განათლება. როცა ჩვენ ვამბობთ სჯავდდებულად, სახეში გვაქვს ის გარემოება, რომ არის სახელმწიფო ძალა, რომელიც ძალდატანებით ახორციელებს ამ პრინციპს, რომელიც აიძულებს ყველას ამ გადაწყვეტილებას დაემორჩილოს. ასეთ პირობებში დაჩაგრულ ერს რომ მისცეთ, ვთქვათ, უფლება თავისუფლად კერძო სკოლების დაარსებისა, ეს ძალიან ცოტაა. სახელმწიფო სკოლისთვის ძალდატანებით გადასახადებს იღებს, ამავე დროს თავის მიდრეკილების თანახმად აწყობს სკოლებს და სწავლების საქმეს, თქვენ კი მარტო უფლება გაქვთ სკოლა გამართოთ, ძალა-კი არა. ცხადია, ასეთ პირობებში თქვენ უფლებას მეტად მცირე მნიშვნელობა აქვს, თქვენ უძლური ხართ განახორციელოთ თქვენი კულტურული მოთხოვნილება. აქედან აუცილებლივ იბადება საჭიროება, რომ გაბატონებულ ერის მთავრობას ჩამოერთვას

დაჩაგრულ ერის კულტურულ საქმეების გაძ-
ლოლა და იგი სავსებით დაჩაგრულ ერს გადაეცეს.
თავის კულტურულ საქმეებში ყოველ ერს სრული
დამოუკიდებულობა, სრული ავტონომია უნდა ჰქონ-
დეს. ეს ერთად ერთი გზაა, რომელიც ეროვნულ
დაბეჩავეების მოსპობისაკენ მიიმართვის და რომელიც
მომამზადებს ერთა სოლიდარულ ცხოვრების პირო-
ბებს და ამით პროლეტარიატს გაუადვილებს თავის
სოციალურ იდეალების განხორციელებას. მასთან
ერთად კულტურულ ავტონომიის მოპოვება ყოვე-
ლი ერისთვის ნიშნავს მისი განვითარების ნორმა-
ლურ პირობების შექმნას, და ამ პირობებში დედა
ენაც მთელი თავისი ძლიერებით განვითარდება.
ოჯახში დედა ენის აუცილებელი სიწმინდე, სკო-
ლაში და სხვა დაწესებულებებში მისი შემოღება, ლი-
ტერატურის გაძლიერება—აი კულტურული განვითა-
რების გზა ეს არის, და თუ ასეთ გზას მტკიცედ დავად-
გებით, ეროვნული ენა სრულ სიმტკიცეს დაიცავს,
გაძლიერდება, გაიზრდება, და ხალხის ნიქს და შე-
მოქმედებით ძალას სავსებით გამოამჟღავნებს.

